პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 17 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 40 (2083)

დღიური

- ამხ. კურსკი იტალიის მეფეს ჩააბარა რწმუნების სიგელი.
- ამხ. საკლატვალას შეკითხვა თემთა პალატაში.
- აჯანყება ფინ-იუი-სიანის ჯარებში.
- გერმანიის ახალი სამხედრო მინისტრი რეიხსვერის „ამოცანების" შესახებ.
- რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დაინიშნა ამხ. ნ. ა. კუბიაკი.
- ამხ. სტუჩკა დანიშნულია იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილეთ.

ამიერ-კავკასიის მეოთხე მოწვევის ცაკის მესამე სესია

დანიშნულია 1928 წლ. 10 მარტს

აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის

ქალ. ბაქოში

დღის წესრიგი:

1. ბაქოს მუშათა, წითელარმიელთა, გლეხთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს მოხსენება; მომხ. ამხ. **კონუშკინი,**
2. აზნავთის მოხსენება; მომხს. ამხ. **ბარინოვი.**
3. მებამბეობის შესახებ; მოხს. ამხ. **ბუნიატ-ზადე.**
4. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; მოხს. ამხ. **გუსეინოვი.**
5. დებულება ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ მოხს. ამხ. **შ. ელიავა.**
6. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ ა. კ. მეოთხე მოწვევის ცაკის პირველ და მესამე სესიებს შორის მიღებულ დეკრეტების და დადგენილებათა დამტკიცების შესახებ; მოხს. ამხ. **ა. შავერდოვი.**

ა. კ. ცაკის მდივანი **ა. შავერდოვი**

„მშვიდობიანობა მრეწველობაში" და პროლეტარიატის ბრძოლა

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ამჟამად ბურჟუაზია არაჩვეულებრივ ღონისძიებებს მიმართავს კაპიტალისტური რაციონალიზაციის განხორციელებისა და განმტკიცების მიზნით. კაპიტალისტების შეტევა ამ ხაზზე სავსებით გასაგებია. იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ბურჟუაზია მისი ფართო რაციონალიზატორული გეგმების განხორციელებას და კატორღული რაციონალიზაციის რეჟიმისათვის მუშათა კლასის ხანგრძლივად დაქვემდებარებას, დიდათაა დამოკიდებული ევროპის კაპიტალისტური მეურნეობის ბედი, და უწინარეს ყოვლისა, ბაზრის პრობლემის გადაჭრა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კაპიტალისტურ რაციონალიზატორების ამ ჯვაროსნულ ომში შესაფერ როლს ასრულებს ევროპის სოციალ-დემოკრატია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ბურჟუაზიის რაციონალიზატორულ პრაქტიკის შელამაზებას და [illegible] „მშვიდობიანობას მრეწველობაში". მე-2 ინტერნაციონალის პარტიების უმისოდაც უკიდურესად გამემარჯვენებული ზედაფენები ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო გამემარჯვენდნენ; პროფკავშირების ბიუროკრატია მართლაც რომ არაჩვეულებრივ თავხედობას იჩენს.

„მშვიდობიანობისათვის მრეწველობაში"! ეს საზიზღარი ლოზუნგი ამჟამად აერთიანებს მწარმოებლებისა და „მუშათა" ბელადების ფართო მასას—ალფრედ მონდებს, მაკდონალდებს და ინგლისის ქვანახშირის ბარონებსა და გერმანიის ლითონის მრეწველობის მეფეებს, ჩეხო-სლოვაკიის მაღაროების [illegible] პატრონეებს ბენ-ტილეტსა და თვითონ მის პაპას. მშვიდობიანობისათვის მრეწველობაში, კაპიტალისტური რაციონალიზაციისათვის, სახელმწიფო კაპიტალიზმის ტენდენციების გაძლიერებისათვის ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის — ამ მიმართულებით ეძებს გამოსავალს ევროპის კაპიტალიზმი. კაპიტალიზმისათვის განვითარების ამ ხელსაყრელი პერსპექტივის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ევროპის მუშათა კლასი აღმოჩნდება ისეთი, როგორიც უნდათ კაპიტალისტებსა და მათ დამქაშ სოციალისტებს, ე. ი. თუ ის იქნება ამ უკანასკნელთა მახინაციების მხოლოდ ობიექტი და არა კლასობრივი ბრძოლის სუბიექტი, არა კლასი, რომელსაც შეუძლია თავისი უფლებების, თავისი ინტერესების, თავისი საარსებო მოთხოვნილებებისა და თავისი საბოლოო მიზნების განხორციელება.

უკანასკნელი დროის ამბები სულ უფრო გარკვევით ადასტურებენ კომუნისტური ინტერნაციონალის მიმხრების პროგნოზს. თვით ცხოვრება აბათილებს სამრეწველო მშვიდობიანობის, რაციონალიზაციაზე დამყარებულ ამ თავისებურ „ბურგფრიდენის" (სამოქალაქო მშვიდობიანობის) სურნელოვან რეცეპტს. ერთი მხრით — კლასების „მშვიდობიანი თანამშრომლობისა" და მწარმოებლების ეგრედწოდებულ „კეთილგონიერების" ნაცვლად უდავოდ ადგილი აქვს კლასობრივი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის გაძლიერებას, მეორე მხრით — სულ უფრო და უფრო აშკარავდება პროლეტარული მასების აქტიური ბრძოლის გაძლიერების ტენდენცია.

ამ მხრით მეტად დამახასიათებელია ის ეკონომიური ბრძოლა, რომელიც ამჟამად სწარმოებს გერმანიაში. იქ გაფიცვების ტალღა თანდათან ძლიერდება. შუა-გერმანიის 50.000 ლითონე მუშა მედგრად იგერიებს მწარმოებლების შემოტევას და იბრძვის სამუშაო ხელფასის გადიდებისა და ნორმალური სამუშაო დღისათვის. კაპიტალისტები უარს ამბობენ მეღითონეების ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. შუა-გერმანიის ლითონის მწარმოებლები საქსონიის ლითონის მწარმოებლებისადმი ისე იქცევიან, როგორც ეს შეფერის ჭეშმარიტ „ქრისტიან ძმებს". მათ უკვე მოაწყვეს „ბრძოლის ფონდი" „მძიმე მდგომარეობაში" მყოფ ამხანაგების დასახმარებლად და, როგორც დეპეშები იუწყება, 22 თებერვლისათვის გამოაცხადეს გრანდიოზული ლოკაუტი, რომელიც მიმართული იქნება 800.000 მეღითონე პროლეტარის წინააღმდეგ. ეს ლოკაუტი, თუ ის განხორციელდა, ძირ-ფესვიანად შეარყევს კაპიტალისტური გერმანიის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას.

ბრძოლას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ 31 მარტს უნდა გადაისინჯოს ორ მილიონ სამასი ათასი გერმანელ მუშის სატარიფო განაკვეთები.

გერმანიის კაპიტალისტები ტლანქად იწვევენ მუშებს ბრძოლაში. მათ სურთ მუშების დაშინება გრანდიოზული ლოკაუტით. საკითხი იმის შესახებ, შესძლებენ თუ არა ისინი გერმანელი მუშების წამოჩოქებას, — არის მათთვის სარეპარაციო პრობლემის ხელსაყრელად გადაჭრისა (1928 წელი ხომ სარეპარაციო გადასახადების პირველი „ნორმალური" წელი უნდა იქნეს) და მსოფლიო ბაზარზე პოზიციების განმტკიცების [illegible] მათი „მებრძოლი განწყობილება" და შეურიგებლობა.

სოციალ-დემოკრატების ყოფაქცევა, რომელიც მან გამოიჩინა გერმანიის ლითონის მრეწველობაში, შექმნილ კონფლიქტის დროს, არავისში არავითარ იჭვს არ ბადებს. სოციალ-დემოკრატები სისტემატიურად აფერხებდნენ აფერხებენ ბრძოლას და დაუღალავად ქმნიან მუშათა წრეში დემობილიზაციონურ განწყობილებას. ისინი ყველგან უარს ამბობენ ბრძოლის დაწყებაზე და იქ, სადაც ეს ბრძოლა მათი სურვილის წინააღმდეგ დაიწყო, ისინი ისეთ „ხელმძღვანელობას" უწევენ მას, რომ რაც შეიძლება მალე ჩაქრეს ის და არავითარ შემთხვევაში არ გავრცელდეს სხვა რაიონებში. გაფიცულ მუშებს ისინი ყოველნაირად უნერგავენ „არაკლასობრივ" მთავრობის (ნამდვილად კი, რა თქმა უნდა, კაპიტალისტური კლასის აგენტების) ავტორიტეტის იმედს და მთავარ შეტევას აწარმოებენ კომუნისტებისა და რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ. „რემდაასის" პროლეტარულ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც დიდ დახმარებას უწევს საქსონიის მეღითონეებს, სოციალ-დემოკრატები ათასგვარ ცილისწამებასა და ჭორებს ავრცელებენ. გერმანიის მეღითონეებმა და გერმანიის მთელმა მუშათა კლასმა კარგად უნდა იცოდნენ თუ რა უნდა გააკეთონ. მათ იმედი უნდა ჰქონდეთ არა ფაბრიკანტების „მოწყალების", არა მთავრობის გაიძვერულ „მიუდგომლობისა" და მატყუარა რეფორმისტების ერთგული მაკლერობის, არამედ მამაცურად უნდა მიიღონ გამოწვევა. არ უნდა შეუშინდნენ ტერორისტულ მანევრებსა ლოკაუტით დამუქრებას. კაპიტალისტების ბლოკს უნდა დაუპირისპირდეს ყველა კომუნისტ, სოციალ-დემოკრატ და უპარტიოთა მუშების მთლიანი ფრონტი, ზედმეტი არ იქნება ამ შემთხვევაში მივბაძოთ კლასობრივი მტრის მაგალითს და მტრის ძალების გამალებულ მობილიზაციაზე უპასუხოთ პროლეტარულ მასების ენერგიული კონტრმობილიზაციით.

გერმანიის ეკონომიური ბრძოლის პირობებს ართულებს კიდევ ის მომენტი, რომ გერმანიაში ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მიმდინარე წელი წარმოადგენს სპეციფიურ „საპარლამენტო" წელს, საარჩევნო წელს. გარდა ამისა გერმანიაში ადგილი აქვს მთავრობის ხანგრძლივ „ნახევარკრიზისს", ეს გარემოება კი წარმოადგენს ეკონომიური ბრძოლის პოლიტიკურ ბრძოლად გადაქცევისა და ამ ბრძოლაში ფართო საერთო - კლასობრივ და პოლიტიკურ მოტივების ჩაქსოვის მნიშვნელოვან ფაქტორს.

გერმანიის რევოლიუციონური კომპარტია ზედმიწევნით უნდა გაერკვეს ეხლანდელ რთულ მდგომარეობაში. მან უნდა გამონახოს მუშების საარსებო პრაქტიკულ ინტერესებისათვის მედგარი, თავგანწირული ბრძოლის სწორი გზა, მოიხვეჭოს მუშების თანაგრძნობა და აჩვენოს მათ, რომ მხოლოდ ის არის მებრძოლი, პროლეტარიატის ნამდვილი მეგობარი და ავანგარდი.

„პრავდა" 16 თებერვალი.

ინგლისში მოითხოვენ საბჭ. კავშირთან ურთიერთობის აღდგენას

კომუნისტური მოძრაობა ჩინეთში ფართოვდება

მაკდონალდი მხარს უჭერს კონსერვატორების პოლიტიკას ინდოეთში

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

კინგმა „არ იცის"

ლონდონი, 15 თებერვალი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრი ლენსბერი შეეკითხა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის გამგეს—იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა მთავრობის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ 1927 წლ. ოქტომბრიდან დეკემბრამდე ინგლისში განაწილებული დაკვეთები არ აღემატება 1.135.947 გირ. სტერლინგს, ხოლო დაკვეთები, რომლებიც ამავე დაწესებულებებმა გაანაწილეს ინგლისში 1926 წლ. ამავე პერიოდში, უდრის 5.109.523 გირ. სტერლინგს.

შეკითხვაზე საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის სახელით პასუხი გასცა კინგმა, რომელმაც განაცხადა, რომ მას არ მოეპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა თანხას შეადგენს საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ინგლისში განაწილებულ დაკვეთების ღირებულება (ადს).

ლოკერ-ლემპსონი პირდაპირ პასუხს გაურბის

ლონდონი, 15 თებერვალი. თემთა პალატაში კომუნისტი საკლატვალა შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს—იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა კავშირმა გადასწყვიტა გაგზავნოს დელეგატი ჟენევაში უშიშროების კომისიის სესიაზე დასასწრებლად და განზრახული აქვს თუ არა მინისტრს, ამასთან დაკავშირებით, გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება საბჭოთა წინადადებისადმი საყოველთაო განიარაღების შესახებ?

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა:

„მე ვიცი, რომ საბჭოთა კავშირმა არ მოისურვა უშიშროების კომისიაში მონაწილეობის მიღება და მხოლოდ განაცხადა, რომ განზრახული აქვს გაგზავნოს კომისიაში თავისი მეთვალყურე. წინადადებები, რომლებიც მხედველობაში აქვს საკლატვალას, შემოტანილ იქნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში და უნდა განხილულიყო სწორედ ამ კომისიაში, თუ უკანასკნელი მოისურვებს მათ შემდგომ განხილვას. ამ წინადადებათა შეფასების შესახებ მე ვერაფერს ვერ დაუმატებ იმას, რაც პრემიერმა განაცხადა თემთა პალატის სხდომაზე 5 დეკემბერს".

შენიშვნა. როგორც ვიცით ამ სხდომაზე ბოლდუინმა განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებები არ ყოფილა შეფასებული, როგორც პრაქტიკული ხასიათის მქონე წინადადებები, ან ისეთები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას, რის გამოც მათი განხილვა თემთა პალატაში სრულიად უსარგებლო იქნება" (ადს).

ხიქსის ავანტიურის შედეგები

ლონდონი, 15 თებერვალი. ლიბერალურ პარტიის მიერ მეფის სიტყვის საპასუხო რეზოლიუციაში შეტანილ შესწორების გარშემო გამართულ კამათის დროს დეპუტატმა **ტომ შოუმ** (მუშათა პარტია) აღნიშნა ლანკაშირის და იორკშირის საფეიქრო მრეწველობის კრიტიკული მდგომარეობა. შოუმ განაცხადა, რომ **ინგლისის საფეიქრო მრეწველობის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია ინგლისის მიერ საბჭოთა დაკვეთების დაკარგვა.**

„ამგვარად — განაცხადა შოუმ —**პასუხისმგებლობა ინგლისის საფეიქრო მრეწველობის მძიმე მდგომარეობისათვის ნაწილობრივ ეკისრება ჯოინსონ ხიკსს, რომელმაც მოაწყო ავანტიურისტული თავდასხმა არკოსზე".** (ადს).

საბჭოთა კავშირის მეგობრები

ლონდონი, 15 თებერვალი კოვენტრის პროფკავშირთა საბჭომ მოიწვია პროფკავშირების, მუშათა პარტიის და კოოპერატიულ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც გადასწყვიტა დაარსოს „საბჭოთა კავშირის მეგობართა კომიტეტი". **კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს გენერალურ საბჭოს ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლისთვის და წინადადებას აძლევს გენსაბჭოს მიიღოს ზომები მის აღსადგენად. (ადს).**

საბჭოთა ნავთი საფრანგეთისათვის

პარიზი, 15 თებერვალი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ნავთის საბაჟო ტარიფების შეცვლის შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტის განხილვის დროს დეპუტატმა **მარგენმა** სკეპტიკური შეხედულება გამოსთქვა საფრანგეთისათვის მოსულის ნავთის მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნა რა, რომ საფრანგეთის ბაზრის **მოთხოვნილებებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისია ამერიკული და საბჭოთა ნავთი,** მარგენმა თავისი სიტყვა დაამთავრა სიტყვებით:

„თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაციონალურ თავდაცვის მოსაზრებებს, საჭიროა მოსახლეობას მივსცეთ საშუალება იყიდოს ნავთი იქ, სადაც ის ყველაზე უფრო იაფია, ე. ი. საბჭოთა კავშირში" (ადს).

პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციის წინადადება

ბერლინი, 15 თებერვალი. პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციამ შეიტანა წინადადება ლანდტაგის დათხოვნის და ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ, აღნიშნა რა, რომ ლანდტაგის ეხლანდელი შემადგენლობა არ შეეფერება ამომრჩეველთა ნამდვილ ნებისყოფას.

წინადადება უარყოფილ იქნა სოციალ - დემოკრატების და ყველა ბურჟუაზიულ პარტიების ხმებით კომუნისტების ხმების წინააღმდეგ. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ხოიკოუ — რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრი გუანდუნში

შანხაი, 15 თებერვალი. გონკონგის გაზეთების ცნობით, გუანდუნის პროვინციაში კომუნისტური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენს ხოიკოუ. ქალაქის ყველა საზოგადოებრივ შენობებზე აღმართულია წითელი დროშა. ხოიკოუს მუშებმა მოაწყვეს „საბჭოთა ჩინეთის ხოიკოუს რაიონის წითელი გვარდიის მესამე რაზმი", რომელიც 1.000 კაცისაგან შესდგება. (ადს).

ამბოხება ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ

პეკინი, 15 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უცხოეთიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ ხმებს გენერლების ამბოხების შესახებ ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ.

შანხაიდან მიღებულ ცნობებით, აჯანყებული გენერლები თავს იყრიან უ-პეი-ფუს ირგვლივ, რომელსაც „ვიღაც" აწვდის ამუნიციას და იარაღს.

უხან - ნანკინი

შანხაი, 15 თებერვალი. უხანს და ნანკინს შორის დამოკიდებულება გამწვავებულია. უხანის ქუჩებზე გამოფენილია პლაკატები ლოზუნგით „ძირს მილიტარისტი ჩან-კაიში". (ადს).

აჯანყება გუანდუნში

ტოკიო, 15 თებერვალი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, გუანდუნის პროვინციის ხაიფინის და პიფინის მაზრებში წინანდებურათ გრძელდება აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები. აჯანყების ჩასაქრობათ სვატოუში გაგზავნილია ჯარის ნაწილი.

ნანკინელები შეტევაზე გადადიან

პეკინი, 15 თებერვალი გაზეთების ცნობით, ნანკინის არმია გადავიდა შეტევაზე ტიან-ცზინის ხაზით. ნანკინელების გამოსვლა შიშს იწვევს ტიან-ცზინის რაიონში (ადს).

ნანკინის შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაცია

ტოკიო, 15 თებერვალი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, ნანკინში განზრახულია შეიარაღებული ძალთა რეორგანიზაციის მოხდენა. პირველი კორპუსი გადაკეთებულ იქნება პირველ არმიათ სამი კორპუსის შემადგენლობით. პირველი არმიის მეთაურათ დაინიშნება ხო-ინ-ჩინი. ფინ-იუ-სიანის ჯარები შეადგენენ მეორე არმიას, ენ-სი-შანის ჯარები მესამეს (ადს).

პეკინის დაცვა.

პეკინი, 15 თებერვალი. პოლიცია და სამხედრო ხელისუფლება იღებენ ზომებს, რათა ხელი შეუშალონ იმ ჯარისკაცების მოხვედრას პეკინში, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთის ფრონტის სხვადასხვა რაიონში მომხდარ ამბოხებებში (ადს).

ხმები ჩან-კაი-შისა და ჩან-ძო-ლინის შეთანხმების შესახებ

პეკინი, 15 თებერვალი. რეიტერისა და ტოხოს სააგენტოები ავრცელებენ ხმებს, რომ ჩან-კაი-შისა და ჩან-ძო-ლინს შორის მიღწეულია შეთანხმება შანდუნის პროვინციაში სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ. გაზეთი „პეკინ ლიდერ"-ი აქვეყნებს საუბარს ჩან-სუე-ლიანთან (ჩან-ძო-ლინის შვილი), რომელიც უარჰყოფს ამ ცნობას. ჩან-სუე-ლიანის სიტყვით, ანგოლზუნი „აწარმოებს მხოლოდ თავდაცვითი ომს და არ ფიქრობს შეტევის დაწყებას ამა თუ იმ მიმართულებით" (ადს)

იუან-ში-კაის მემკვიდრეობა

პეკინი, 15 თებერვალი. ფინ-იუ-სიანმა ხენანის პროვინციაში კონფისკაცია უყო ჩინეთის ყოფილ პრეზიდენტის (გარდაიცვალა 1916 წელში) იუან-ში-კაის მამულს, რომელიც ღირს 6 მილიონი დოლარი.

ფინ-იუი-სიანის ბრძანებით გახსნეს იუან-ში-კაის აკლდამა იქ დამარხულ ძვირფასი ნივთების ამოღების მიზნით. (ადს).

შორეულ აღმოსავლეთის ბანკი გახსნეს

შანხაი, 15 თებერვალი. შანხაიში შორეულ აღმოსავლეთის ბანკის შენობას მოხსნეს ბეჭედი. (ადს).

მარტელის შთაბეჭდილებანი

პეკინი, 15 თებერვალი. გაზეთებში გამოქვეყნებულია საფრანგეთის ელჩის (პეკინში) მარტელის შთაბეჭდილებანი მისი სამხრეთში მგზავრობის შესახებ.

მარტელის სიტყვით, ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი სამხრეთის ჯგუფების გაერთიანება და გუანსის, ნანკინის და უხანის ჯგუფების განმტკიცება. გომინდანის პოლიტიკურ მოღვაწეობას ხელს უშლის გენერლების სამხედრო აქტივობა. კომუნისტები გამაგრებული არიან სოფლებში და პატარა ქალაქებში და მოელიან მოხერხებულ შემთხვევას, რომ გააცხოველონ მუშაობა. დასასრულ, მარტელმა აღნიშნა, რომ სამხრეთში არა აქვთ ფული და ამიტომ ზოგიერთი ჯგუფები მიდიან კომპრომისებზე (ადს).

ჩან-ძო-ლინს სიფრთხილეს ურჩევენ

პეკინი, 15 თებერვალი. მიუთითებს რა ვიკონტ გოტოს მისიის წარმატებაზე საბჭოთა კავშირში, გაზეთი „ჩენბაო" აცხადებს, რომ ჩინეთმა მხედველობაში უნდა მიიღოს ეს გარემოება და შესცვალოს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. „ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, — ამბობს გაზეთი — სამხრეთ ჩინეთის მთავრობის პოლიტიკას, ყოველ შემთხვევაში პეკინის მთავრობამ არ უნდა მიბაძოს სამხრეთის მთავრობის მაგალითს, ვინაიდან პეკინის მთავრობა არის ჩინეთის ცენტრალური მთავრობა და ამიტომ მას უნდა ჰქონდეს სავსებით გარკვეული საგარეო პოლიტიკა". (ადს).

მაკდონალდი მხარს უჭერს საიმონს

ლონდონი, 15 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მაკდონალდმა დეპეშით აცნობა ხარსტხორნს, მუშათა პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს საიმონის კომისიაში, რომ მუშათა პარტიის მომავალი მთავრობა დანიშნავს ახალ კომისიას, თუ ეხლანდელმა კომისიამ ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება ობსტრუქციის გამო. მაკდონალდი აცხადებს, რომ მუშათა პარტია სავსებით უჭერს მხარს საიმონის კომისიის დანიშვნისა და მუშაობის წესს და მუშათა პარტიის მომავალი მთავრობა არავითარ ცვლილებას არ შეიტანს ამ დარგში". (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სახალხო პარტიის საარჩევნო მანევრი

ბერლინი, 16 თებერვალი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობის ბლოკის დაშლა გამოწვეულია სახალხო პარტიის მიერ, რომელმაც ამით ორგვარი სარგებლობა მიიღო: რეაქციონური სასკოლო კანონის უარყოფით მას ეხლა შეუძლია ამომრჩეველების წინაშე გამოვიდეს „კულტურული ლიბერალიზმის დამცველის" როლში, შემდეგ რეიხსტაგის არჩევნების დაჩქარების მოტივით სახალხო პარტია შტრეზემანს უადვილებს მოლაპარაკებას საფრანგეთთან. ბრიანმა არა ერთხელ აღნიშნა, რომ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებას აბრკოლებს „გერმანიის გაურკვეველი შინაური მდგომარეობა", ვინაიდან მისი აზრით არ არის გამორკვეული ვინ მოექცევა ხელისუფლების სათავეში; შეიძლება ხელისუფლების სათავეში არჩევნების შემდეგ მოექცნენ ის მემარცხენე პარტიები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საფრანგეთ-გერმანიის შერიგების პოლიტიკას. თუ რეიხსტაგის ახალი არჩევნები მოხდება აპრილში ან მაისში, მაშინ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ძალთა ურთიერთობა გერმანიაში გამოირკვევა ერთდროულად საფრანგეთთან, სადაც არჩევნები აპრილის ბოლო რიცხვებში მოხდება.

პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი. პან-ამერიკული კონფერენცია გავანში მოექცა ჩიხში იმის გამო, რომ არგენტინის დელეგაციის თავმჯდომარემ პუერედონმა უარი განაცხადა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე პან-ამერიკული კავშირის რეორგანიზაციის შესახებ, რადგანაც ეს შეთანხმება არ შეიცავს დეკლარაციას ამერიკის სახელმწიფოების მფარველობითი საბაჟო ტარიფების წინააღმდეგ (პუერედონს მხედველობაში აქვს ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი ტარიფები). ამასთან ერთად კონფერენციაზე გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებული შტატები ერევა ამერიკის სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში. არგენტინის, მექსიკის და სალვადორის დელეგაციები მოითხოვენ ჩაურევლობის შესახებ დეკლარაციის მიღებას. შეერთებული შტატების დელეგაცია ყოველ ღონისძიებით ილაშქრებს ამის წინააღმდეგ. ამ უთანხმოების გამო კონფერენციის მუშაობა ჯერ-ჯერობით უნაყოფო რჩება (ადს).

გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება.

ბერლინი, 16 თებერვალი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ მთავრობის კრიზისის გამო გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „პარლამენტში ხდება ბურჟუაზიული ბლოკის ლიკვიდაცია, რომ მომავალ არჩევნებში ბურჟუაზიამ კვლავ დაიპყროს მშრომელთა მასები, როგორც ხმის მიმცემი ცხვრის ფარა. მაგრამ ბურჟუაზიული ბლოკი კლასიურ ბრძოლაში შეურყეველია, როგორც წინედ. მუშები ბურჟუაზიული ბლოკის მოსპობას შესძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლას აწარმოებენ ტრესტის კაპიტალის წინააღმდეგ, დაანგრევენ კაპიტალისტების სახელმწიფოს, მოიპოვებენ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალა-უფლებას და დაამყარებენ პროლეტარიატის დიქტატურას". მოწოდება მიმართავს მთელს გერმანიის მუშებს მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაციები 800.000 მეღით. ლოკაუტის წინააღმდეგ და მწარმოებელთა ზომებს უპასუხონ ბრძოლის მომზადებით მრეწველობის ყველა ძირითად დარგებში (ადს).

მისალმება საკავშირო პროფსაბჭოსადმი.

ბერლინი, 16 თებერვალი. გალეში შემდგარ მიტინგზე, რომელმაც აუარებელი მუშები მიიზიდა, ერთხმად დაადგინეს მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს საკავშირო პროფსაბჭოს იმის გამო, რომ მან 20.000 მარკა გადაგზავნა შუა გერმანიის გაფიცულ მეღითონეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ მუნიციპალიტეტის კომფრაქციამ წინადადება მისცეს მუნიციპალიტეტს, რათა მუშებს დაურიგოს რძე და ნახშირი. მიტინგის შემდეგ რემდასმა გაანაწილა სურსათი.

ჰაეროპლანები ფინის წინააღმდეგ

პეკინი, 15 თებერვალი. ჩინური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მუკდენის ჯარების განკარგულებაში, რომლებიც ფინ-იუი - ხიანის წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას, 20 ჰაეროპლანია (ადს).

ლიტვა-საბჭოთა ურთიერთობა

მოსკოვი, 16 თებერვალი. ლიტვის საგანგებო ელჩის საბჭოთა კავშირში **ი. ბალტრუშაიტისს** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან ჰქონდა საუბარი ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავის შესრულების გამო (ათი წლის თავი შესრულდა 16 თებერვალს). ბალტრუშაიტისი შეეხო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას და განაცხადა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დღიდან განმტკიცდა ამ ორი ქვეყნის მეგობრული და კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ამ მეგობრული ურთიერთობის საფუძველია პირველ რიგში ის მტკიცე დებულება საბჭოთა კავშირისათვის, რომ ლიტვის დამოუკიდებლობა აუცილებელია პოლიტიკური წონასწორობის დასამყარებლად დასავლეთ ევროპაში, რომ იგი მშვიდობიანობის სიმტკიცის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. **საბჭოთა კავშირის ეს სურვილი, რომ ლიტვის ხალხი იხილოს თავისუფლად მის ეროვნულ საზღვრებში, არა ერთხელ იქნა დადასტურებული საბჭოთა კავშირის საერთაშორისო აქტებში და რასაკვირველია მან მცირე როლი არ ითამაშა ლიტვის დამოუკიდებლობის, როგორც საერთაშორისო ფაქტორის, განმტკიცებაში.**

პილსუდსკის რესპუბლიკაში

რუსი მონარქისტები—პილსუდსკის მომხრეები.

ვარშავა, 15 თებერვალი. რუს ემიგრანტ-მონარქისტებმა ვილნოში გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც მოუწოდებენ თავის მომხრეებს ხმა მისცენ პილსუდსკის მომხრეთა სიას. არგუმენტის სახით მონარქისტები აყენებენ იმას, რომ სიაში შეტანილია „ვილენსკოე სლოვოს", რედაქტორი მაცკევიჩი, რომელიც თავის გაზეთში იცავდა ვოიკოვის მკვლელს კავერდას. (ადს).

ლედვოხის დაპატიმრება

ვარშავა, 15 თებერვალი. დააპატიმრეს სეიმის ყოფილი დეპუტატი, გლეხთა კავშირის წევრი ლედვოხი (ადს).

საარჩევნო „წმინდა"

ვარშავა, 15 თებერვალი. კრაკოვში გაუქმებულია მუშათა და გლეხთა მთლიანობის, პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთის და გლეხთა მთლიანობის საოლქო სიები (ადს).

„კურიერი პოზნანსკი"-ს სამი განმარტება.

ვარშავა, 15 თებერვალი. „კურიერ პოზნანსკი" სწერს, რომ პოლონეთის ოფიციალურმა წრეებმა მიაფუჩეჩეს გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ დეპარტამენტის უფროსის გოლუვკოს და საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსის სოკოლოვსკის მოულოდნელი დაბრუნება მოსკოვიდან. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს პირები გაგზავნილი იყვნენ მოლაპარაკების დასაწყებათ, მაგრამ საჩქაროდ დაბრუნდნენ და მოასწრეს მხოლოდ პოლონეთის საელჩოს წევრების ნახვა. გაზეთის სიტყვით, ამის პირველი შესაძლო ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ თვით პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ არ იცოდა კარგად რა სურდა მას, მეორე პირადი უთანხმოება პატეკსა და ორივე დელეგატებს შორის მეტად სერიოზული აღმოჩნდა, ასე რომ ელჩმა დელეგატები უკან გაგზავნა საკუთარი რისკით. მესამე საქმეში ჩაერია უცხოეთის გავლენა

ოპოზიციის ლიკვიდაცია საქართველოში

რა სთქვა მე-15 პარტყრილობამ ტროცკისტულ ოპოზიციის შესახებ? ყრილობამ სთქვა:

„ტროცკისტულ ოპოზიციის მიმდევრობა და მის შეხედულებათა პროპაგანდა შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიაში (ბ) ყოფნასთან".

„ოპოზიცია უნდა განიარაღდეს იდეურად და ორგანიზაციულად" მე-15 პარტყრილობის რეზოლიუციიდან ოპოზიციის შესახებ).

აქ ყველაფერი ნათქვამია ბოლშევიკურად—ლენინურად, გარკვევით და ნათლად.

რამდენადაც ტროცკისტული ოპოზიცია არა თუ ჩამოშორდა ლენინის პარტიას, არამედ შეტევაზედაც კი გადმოვიდა პარტიის წინააღმდეგ და არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას, აშკარაა, რომ პარტიას არ შეეძლო არ მიეღო გადამჭრელი ზომები დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, რომლებიც ობიექტიურად გადაიქცნენ იარაღად ჩვენი მტრების ხელში ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მთელმა პარტიამ შეიგნო ის მდგომარეობა, რომელიც შექმნეს ტროცკისტებმა თავისი ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა მოქმედებით და პარტიამ სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა, რათა ბოლო მოეღო ტროცკისტულ ოპოზიციისათვის.

მე-15 პარტყრილობის შემდეგ ყველა ორგანიზაციები, საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა წევრები შეუდგნენ მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას.

ადგილობრივი უჯრედები ოპოზიციონერებს პარტიიდან რიცხავენ, უჯრედების გადაწყვეტილებები ოპოზიციონერების შესახებ იგზავნება სარაიონო, სამაზრო, საოლქო კომიტეტებში და, დასასრულ, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან ოპოზიციონერების გამორიცხვის საბოლოოდ დასადასტურებლად.

რას ვხედავთ ჩვენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის მსვლელობაში ოპოზიციონერების გამორიცხვის მხრივ?

ამ წერილის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვაზე და ერთგვარი შუქი მოჰფინოს იმას, თუ რა ხდება ამჟამად თვით ოპოზიციაში, და ამ ნიადაგზე აღრიცხოს ჩვენი ბრძოლის მეთოდები ტროცკისტულ ოპოზიციის საბოლოო ლიკვიდაციის მოსახდენად.

იმ [illegible] მიხედვით, რომლებიც შემოდის ცენტრალურ საკონტროლო [illegible] სარაიონო, სამაზრო, საოლქო კომიტეტებიდან,—ცენტრალური საკონტროლო კომისია იბარებს ოპოზიციონერებს, ეკითხება მათ და მოითხოვს მათგან ნათელ პასუხს მათი დამოკიდებულების შესახებ მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებთან. და რა ირკვევა?

ირკვევა საინტერესო პროცესი. ოპოზიცია იხრწნება. გახრწნა მიმდინარეობს ოთხი ძირითადი მიმართულებით:

ოპოზიციონერების ერთ ჯგუფს შეადგენენ ისინი, ვინც გადაჭრით წინააღმდეგია პარტიის და ემხრობა ტროცკისტულ ოპოზიციას. მეორე ჯგუფს შეადგენენ ისინი, რომლებიც ოპოზიციის ლიდერების დირექტივების თანახმად ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ისინი ემხრობიან პარტიას, მაგრამ მათ ახასიათებს არა გულწრფელობა და სიყალბე. მესამე ჯგუფს შეადგენენ ისინი, ვინც შეიგნო, რომ მათ აღარა აქვთ საერთო გზა ოპოზიციასთან. მათ შეგნებული აქვთ თავისი შეცდომა. გულწრფელად სურთ პარტიასთან ყოფნა, მაგრამ არ ყოფნით ბოლშევიკური გაბედაობა სთქვან ეს პირდაპირ და აშკარად, როგორც ამას მოითხოვს მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილება. მეოთხე ჯგუფს შეადგენენ ის ოპოზიციონერები, რომლებიც გულწრფელად და გადაჭრით ჩამოშორდნენ ოპოზიციას და განაგრძობენ მისგან გამიჯვნას, მე-15 პარტყრილობის მოთხოვნილებათა მიხედვით.

საჭიროა შევაჩეროთ პარტიულ ამხანაგების ყურადღება თვითეულ ამ ჯგუფის ოპოზიციონერების დახასიათებაზე და აგრეთვე გზადაგზა აღვნიშნოთ ოპოზიციის ლიკვიდაციის მეთოდები და ღონისძიებები.

პირველი ჯგუფი შესდგება ლიდერებისაგან და მოლიდერო ოპოზიციონერებისაგან. მათ ემხრობიან ყველაზე უფრო თავზე ხელაღებულ ჯიუტი ელემენტები, ურა-ოპოზიციონერები და, რაც მთავარია, ისეთები, რომლებიც ვერაფერში ვერ ერკვევიან (ვერც ოპოზიციის და ვერც პოზიციის საკითხებში). ლიდერებს და მოლიდეროებს, რა თქმა უნდა, [illegible] ოპოზიციის ანტიპარტიულ შეხედულებათა დაცვა. ისინი თვითეულ ნაბიჯზე ბოლშევიკურად უნდა გამოვამჟღავნოთ, სავსებით გამოვიყენოთ მათ მიმართ მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებები. რაც შეეხება თავზე ხელაღებულ ოპოზიციონერებს, რომლებსაც „გმირებად", „რევოლიუციონერებად" მოაქვთ თავი, არსებითად კი მოთმასნილ გამოუსადეგარ ელემენტებს წარმოადგენენ, უნდა ითქვას, რომ სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, უსარგებლო არიან როგორც ოპოზიციისათვის, ისე პარტიისათვისაც, კიდევაც რომ მოახერხონ პარტიის რიგებში დარჩენა. მაგრამ საბედნიეროდ ისინი თვითონ აყენებენ თავს პარტიის გარედ, და მათზე არც ღირს ლაპარაკი—ისინი გაძევებული უნდა იქნენ პარტიიდან თავის ლიდერებთან ერთად.

მეორე ჯგუფი დიდ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის. ეს ჯგუფი არის ოპოზიციონერების ძირითადი მასსა, რომელიც ცდილობს დარჩეს პარტიაში. დაკითხვის დროს ეს ჯგუფი აცხადებს, რომ ემორჩილება მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს, მაგრამ არ ეთანხმება ერთ მუხლს, სადაც ლაპარაკია ოპოზიციის შესახებ. ეს ჯგუფი, როგორც თვითონ აცხადებს, წინააღმდეგია ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის, მით უმეტეს მეორე პარტიის შექმნის. ამ ჯგუფის ოპოზიციონერები არიან სრულიად არა გულწრფელი და პირდაპირ საზიზღრად ცრუობენ თავის განცხადებებში, უნდა ითქვას, რომ მათ აქვთ ძალიან კარგი ოპოზიციონური დისციპლინა. ეს სავსებით ნათლად სჩანს იმ პასუხიდან, რომელსაც იძლევიან ისინი ჩვენს შეკითხვებზე. ამ პასუხის, როგორც აზრი, ისე შინაარსი და კილო სავსებით ერთგვარია. თავისთვის შეუმჩნევლად ისინი აშკარავებენ თავის ოპოზიციონურ-ფრაქციულ მუშაობას. ისინი ამჟღავნებენ თავის თავს იმ მხრივ, რომ ისინი შეთანხმებული არიან, თუ როგორ ხაზს დაადგნენ, რათა დარჩნენ პარტიის რიგებში და შიგნიდან ააფეთქონ იგი. ყოველივე ეს თეთრი ძაფებით არის ნაკერი. მათ უნდა ესმოდეთ, რომ როდესაც მათი პასუხი სავსებით ერთნაირია, როდესაც მათი მოქმედება გამსჭვალულია ერთი ნებისყოფით და მისწრაფებით—ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შეთანხმებული არიან ფრაქციულად, მაგრამ თუ ისინი ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს ეს მათ არ ესმით, ჩვენ თვითონ ვეტყვით მათ, თუ რას ნიშნავს ეს ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ნამდვილად აწარმოებენ არალეგალურ, ანტიპარტიულ, ოპოზიციის იდეურ და ორგანიზაციულ **ოპოზიციონურ მუშაობას.** და ამას შემდეგ ისინი კიდევ ბედავენ დაგვარწმუნონ, რომ წინააღმდეგი არიან ფრაქციულობის და სხვ. არა, ეს ფანდი მათ არ გაუვათ. ტყუილა ფიქრობენ ისინი, რომ მოახერხებენ პარტიის მოტყუებას. მათ ადგილი არა აქვთ პარტიაში, პარტიის გარეთ კი ჩვენ შევხედავთ, თუ როგორ დაიჭერენ ისინი თავს და ამის მიხედვით მათიც შეეხება პროლეტარიატის დიქტატურის ხელი.

მესამე ჯგუფი—ეს ის ელემენტებია, რომლებსაც გულწრფელად აქვს შეგნებული თავისი შეცდომა და სურთ პარტიის რიგებში დაბრუნება, მაგრამ არ იციან, როგორ მოიქცენ. მათ არა აქვთ საკმაო გამბედაობა, რომ პირდაპირ და აშკარად, ყველას გასაგონად განაცხადონ, რომ ისინი იდეურად და ორგანიზაციულად იმიჯნებიან ოპოზიციისაგან და ჰგმობენ უკანასკნელს. ასეთი ელემენტები ოპოზიციაში მცირე არ არის, ისინი უმთავრესად არიან პატიოსანი მუშები. უნდა აღინიშნოს ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ **ოპოზიციონერების მესამე ჯგუფსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის უკვე სწარმოებს შინაგანი ბრძოლა.**

ჩვენის მხრივ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ ხელი არ შევუწყოთ ამ ჯგუფს პარტიასთან დაკავშირებაში, ამ ჯგუფს შეუძლია გამოიყოლიოს სხვა პატიოსანი ელემენტებიც, რომლებსაც გზა აებნათ და კიდევ მისდევენ ოპოზიციის ლიდერებს. მარტო ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფს შეტაკება აქვს თავის ყოფილ ლიდერებთან, მოწმობს, რომ ის გულწრფელად გველაპარაკება და სურს პარტიის რიგებში დარჩენა. ჩვენ მათ ხელი არ უნდა ვკრათ და არ უნდა დავაბრუნოთ თავის ყოფილ ლიდერებთან. ჩვენ მათ უნდა მივცეთ საშუალება, რომ თანდათანობით და მტკიცე ნაბიჯით დაუბრუნდნენ პარტიას. ის სრულებით არ ეწინააღმდეგება მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ყრილობის გადაწყვეტილებაში, სათანადო ადგილზე, ლაპარაკია იდეურ ზეგავლენის ზომების შესახებ ოპოზიციის საუკეთესო, მუშურ ნაწილზე.

ამ ჯგუფის ოპოზიციონერები დაახლოებით ასე მსჯელობენ: პარტიიდან გამორიცხვა ჩვენ ისეთ პირობებში გვაყენებს, რომ ჩვენ ძალაუნებურად და ობიექტიურად ვხდებით იარაღად პროლეტარულ დიქტატურის მტრების ხელში. მარტო ეს საკმაო იქნებოდა, რომ ჩამოვშორდეთ ოპოზიციას და მტკიცედ ჩავდგეთ საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში. როდესაც ჩვენ ვაღიარებთ გაკოტრებას, მით უმეტეს ვართ მზათ გადაჭრით ჩამოვშორდეთ მას, მხოლოდ თუ ამ მხრივ დაგვეხმარებით.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ამოცანაა სერიოზულად გავუწიოთ ანგარიში ამ გარემოებას და ყოველმხრივ დავეხმაროთ ამ ამხანაგებს, არ შევლახოთ მათი თავმოყვარეობა, მივსცეთ მათ პარტიის რიგებში დარჩენის საშუალება და პრაქტიკაში, ყოველდღიურ მუშაობაში შევამოწმოთ მათი გულწრფელობა.

მეოთხე ჯგუფზე, რომელმაც აშკარად და სრულიად გულწრფელად გასწყვიტა ყოველივე იდეური და ორგანიზაციული კავშირი ოპოზიციასთან,—საჭირო აღარ არის სიტყვის გაგრძელება, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ დანამდვილებით ვიცით რამოდენიმე ფაქტი, როდესაც ზოგიერთები თუმცა ოფიციალურად ჩამოშორდნენ ოპოზიციას, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნდნენ მას. მართალია, ასეთი ფაქტები იშვიათია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ დასკვნები უნდა გავაკეთოთ ამ ფაქტებიდანაც, დასკვნები კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი **საქმით უნდა შევამოწმოთ.**

რა დასკვნები გამოდის ყველა ზემოთქმულიდან? გაუსწორებლები უნდა გავაძევოთ ულაპარაკოდ. მერყევ და პარტიის რიგებში ჩადგომის გულწრფელად მსურველ ელემენტებს დავეხმაროთ, რომ მათ საბოლოოდ გასწყვიტონ ოპოზიციასთან იდეური და ორგანიზაციული კავშირი, ამავე დროს ისინი უნდა გამოვიყენოთ ოპოზიციის რიგების დასაშლელად და თანდათანობით დავაბრუნოთ პარტიაში. იმათ მიმართ, რომლებმაც უკვე გასწყვიტეს ოპოზიციასთან იდეური და ორგანიზაციული კავშირი, პრაქტიკულად და საქმით უნდა შევამოწმოთ მათი გულწრფელობა.

ამასთან ერთად ჩვენ გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ ოპოზიციას არ დაუგდია თავისი იარაღი და განაგრძობს არალეგალურ, სასტიკად კონსპირატიულ მუშაობას. ჩვენი ამოცანაა, პარტიის თვითეული წევრის ამოცანაა, სასტიკად ვადევნოთ თვალყური მათ მუშაობას, გამოვამჟღავნოთ და გამოვააშკარაოთ ისინი, გამოვიყენოთ მათ მიმართ პროლეტარულ დიქტატურის რეჟიმი.

ამ მუშაობის დამთავრება არ შეიძლება ერთ, ორ თვეში, მაგრამ ეს მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ენერგიულად და ბოლშევიკურად, რათა საბოლოოდ მოვახდინოთ ოპოზიციის ლიკვიდაცია. ეს შესაძლებელია და ეს უნდა ჩავატაროთ მაქსიმალური სისწრაფით.

გ. სტურუა.

განაჩენი ამხ. ფურკადის საქმეზე

ამხ. ფურკადი

პარიზი, 15 თებერვალი. გაზეთ „ავანგარდი"-ს გამომცემლობის გამგეს 78 წლის კომუნარ ფურკადს მიუსაჯეს 6 თვით დაპატიმრება და 500 ფრანკით დაჯარიმება იმის გამო, რომ მან „ავანგარდ"-ში გამოაქვეყნა წერილი რეზერვისტების დემონსტრაციების შესახებ.

„თავშეფარების უფლება"

ბერლინი, 15 თებერვალი. ორი იტალიელი დეზერტირი ანტიფაშისტი, რომელნიც გადავიდნენ შვეიცარიის საზღვარზე, შვეიცარიის სანაპირო ხელისუფლებამ იტალიის ხელისუფლებას გადასცა. პოლიტიკური ემიგრანტების თავშეფარების უფლების ასეთმა უმაგალითო დარღვევამ დიდი აღშფოთება გამოიწვია შვეიცარიის მოსახლეობასა და შვეიცარიის მემარცხენე პრესის შორის. (ადს).

დიუკლოს და ლეფევრის საქმე

პარიზი, 15 თებერვალი ბულონის სასამართლომ დიუკლოს და ლეფევრის საქმეზე გამოიტანა შემდეგი განაჩენი: დიუკლოს მიუსაჯა 2 წლით დაპატიმრება და 3.000 ფრანკით დაჯარიმება, ლეფევრს — სამი თვით დაპატიმრება და 1.000 ფრანკი დაჯარიმება. დიუკლოს და ლეფევრს ბრალად ედებოდათ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს „კაზერნი"-ს გავრცელება ჯარისკაცებს შორის. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ყველა წევრებისადმი

მოსკოვი, 16 თებერვალი. უკრაინულ და პოლონურ კომუნისტურ პრესაში, რომელიც პოლონეთში გამოდის არალეგალურად, დაბეჭდილია კომინტერნის აღმასკომის მოწოდება ყველა პარტიული ორგანიზაციებისა და დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ყველა წევრებისადმი.

მოწოდება მიმართულია დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ყოფილი ხელმძღვანელი ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც შარშან იცავდა ნაციონალისტურ გადახრას უკრაინის კომპარტიის (ბ) შიგნით. ეხლა, როგორც ნათქვამია ამ მოწოდებაში, ამ ჯგუფმა „სცნო, რომ ეხლანდელი მომენტი, როცა გრძელდება სტაბილიზაცია და ძლიერდება რეაქცია პოლონეთში და ხდება უკრაინის ბურჟუაზიის პოლიტიკური სულისკვეთების გადახრა პოლონეთის ფაშიზმთან შეთანხმებისა და ანტისაბჭოთა ორიენტაციისაკენ, ეს მომენტი ამ ჯგუფმა სცნო ხელსაყრელად, რათა გაეწყვიტა კავშირი პოლონეთის კომპარტიასთან (ე. ი. გაეწყვიტა კავშირი პოლონეთის და დასავლეთ ბელორუსიის რევოლიუციონურ მოძრაობასთან) და არ დამორჩილებოდა კომინტერნის დირექტივებს. მას შემდეგ, რაც დასავლეთ უკრაინის კომპარტიის (ბ) ადგილობრივი ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ გადაჭრით გაილაშქრა გამთიშველების წინააღმდეგ და გადაჭრით დადგა კომინტერნის ხაზის დასაცავად, დასავლეთ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას გამთიშველი ჯგუფი შეუდგა თავისი პარალელური ორგანიზაციების შექმნას ადგილობრივ და თავისი დამოუკიდებელი ხაზის წამოყენებას სეიმის არჩევნებში".

მოწოდება აღნიშნავს, რომ „დასავლეთ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას წევრთა ჯგუფი, რომელიც სავსებით მოექცა წვრილ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ, დადგა დასავლეთ უკრაინის კომპარტიისა (ბ) და დასავლეთ უკრაინის მშრომელი მასების რევოლიუციონური მოძრაობის გათიშვის გზაზე, რომ ეს ჯგუფი სცდილობს გასწყვიტოს კავშირი დასავლეთ უკრაინის რევოლიუციონური მოძრაობის და პოლონეთისა და დასავლეთ ბელორუსიის რევოლიუციონური მოძრაობის შორის, და რომ ეს ჯგუფი, მიაქვს რა მას უკან თავისი ნაციონალისტური შეცდომების აღიარება, დასავლეთ უკრაინის ბურჟუაზიულ ჯგუფებთან ერთად გამოდის საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც აშენებს სოციალიზმს და უკრაინის მშრომელ მასებს ანთავისუფლებს საუკუნოებრივი ნაციონალური ჩაგვრისაგან".

ყველა ზემოაღნიშნული მოქმედებით და კომინტერნის დირექტივებისადმი აშკარად დაუმორჩილებლობით ეს ჯგუფი თავის-თავს აყენებს კომინტერნის რიგების გარეშე. უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას ყოფილი წევრთა ჯგუფი, გამოდის რა კომინტერნის, პოლონეთის კომპარტიის და უკრაინის კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ და სცდილობს რა მახვილი ჩასცეს რევოლიუციონური მოძრაობის ინტერესებს დასავლეთ უკრაინაში, ობიექტიურად სდგება ღალატისა და გამცემლობის გზაზე და ხდება უკრაინის კონტრ-რევოლიუციისა და პოლონეთის ფაშიზმის პირდაპირ იარაღად.

დასავლეთ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას ყოფილი ხელმძღვანელი ჯგუფის ყველა მოქმედებანი უკანასკნელ ხანებში მოწმობს, რომ გათიშვა პარტიაში და კავშირის გაწყვეტა პოლონეთის კომპარტიასთან და კომინტერნთან მის ხელში წარმოადგენს პოლონეთის ფაშიზმისაგან ლეგალიზაციის მოპოების საშუალებას და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიად (რომელიც დასავლეთ უკრაინაში არ არსებობს) გადაქცევის, ე. ი. პილსუდსკის ნამდვილ აგენტურად (პოლონეთის სოციალისტური პარტიის მსგავსად) გადაქცევის საშუალებას.

კომინტერნის აღმასკომი, პარტიის ყველა წევრთა და უკრაინის მშრომელი მასების წინაშე გმობს დასავლეთ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას ხელმძღვანელ ჯგუფს, როგორც კომინტერნის მოწინააღმდეგე და ფაქტიურად ანტისაბჭოთა ჯგუფს, წინადადებას აძლევს მათ გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი ამ ჯგუფთან, მოუწოდებს დასავლეთ უკრაინის პარტიულ ორგანიზაციებს და რევოლიუციონურ მასებს სრული და გადამწყვეტი დახმარება აღმოუჩინონ დასავლეთ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას, რომელიც ემყარება პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას და რომელიც პოლონეთის კომპარტიის ცეკას და კომინტერნის ხელმძღვანელობით მუშაობს.

მოწოდება თავდება ლოზუნგებით: „ძირს გამთიშველები და გამცემლები! გაუმარჯოს დასავლეთ უკრაინის, პოლონეთის და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელი მასების ძმურ სოლიდარობას! გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინას და საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს"! (ადს).

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი--წითელ არმიას

მოსკოვი, 16 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა 1928 წ. 14 თებერვალს წითელ არმიას გაუგზავნა შემდეგი მისალმება:

კომინტერნის აღმასკომი ყველა ქვეყნის კომუნისტების სახელით და მსოფლიოს რევოლიუციონური პროლეტარიატისა და ჩაგრული ერების სახელით მხურვალე სალამს უძღვნის გმირულ წითელ არმიას მისი არსებობის ათი წლის თავის გამო.

10 წლის უკან რუსეთის მუშები, რომლებმაც დაამხვეს ბურჟუაზიისა და მისი დამქაშ სოციალ-შეთანხმებლების ბატონობა, შეუდგნენ პროლეტარული რევოლიუციის რეგულიარული არმიის მშენებლობას ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად რუსეთისა და მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

რუსეთის მუშებმა ელვის სისწრაფით შეისწავლეს სამხედრო საქმე და ისწავლეს ბრძოლა და გამარჯვება.

ლენინის კომუნისტური პარტიის უშუალო კოლექტიური ხელმძღვანელობით შექმნილმა მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ გმირულად მოიგერია პირველი გამარჯვებული პროლეტარული რევოლიუციის მრავალრიცხოვანი მტრის ყველა იერიშები და უზრუნველყო რომ შრომის რესპუბლიკა შეუდგომოდა სოციალისტურ მშენებლობას.

წითელი არმია—პროლეტარული რევოლიუციის არმიაა. წითელი არმია—ოქტომბრის რევოლიუციის პირმშოა და მისი მონაპოვარის დამცველი. საბჭოთა კავშირის წითელი არმია—მთელი ქვეყნის ჩაგრულთა და გაუვლეფილთა ფოლადის მახვილია, ვინაიდან ის იცავს საბჭოთა კავშირს—მსოფლიო რევოლიუციის ციხე-სიმაგრეს. წითელი არმიის საბოლოო მიზანი არის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობა მთელ მსოფლიოში.

იმპერიალისტური მტაცებლები კბილებს ილესენ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ მთელი ქვეყნის ჩაგრულები ამ სოციალისტურ სახელმწიფოს უყურებენ, როგორც თავის სამშობლოს და მზად არიან ყოველ წუთს წითელ არმიასთან ერთად დაიცვან ის ყველა მტრებისაგან.

მათი სახელით, მთელი ქვეყნის მრავალი მილიონი მუშებისა და გლეხების სახელით კომინტერნის პლენუმი 10 წლის თავზე მხურვალედ მიესალმება წითელ არმიასა და მის ორგანიზატორს—საკავშირო კომპარტიას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის წითელ არმიას—მთელი ქვეყნის ჩაგრულთა და გაუვლეფილთა არმიას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას (ადს).

პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულება

„მატენ"-ი ამართლებს ზალესკის ულტიმატუმს

პარიზი, 15 თებერვალი. „მატენ"-მა მოათავსა ვარშავიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის უკანასკნელ ნოტას ლიტვისადმი. აღნიშნავს, რა, რომ ვოლდემარასი სისტემატიურად გაურბის პოლონეთთან მოლაპარაკებას, გაზეთი სწერს:

„ლიტვის ის მეზობლები, რომელთაც მღვრიე წყალში თევზის ჭერა უყვართ, სარგებლობენ ამ განწყობილებით. მოსკოვმა ვოლდემარასს მიმართა ნოტით, რომლის შინაარსიც არაა გამორკვეული, მაგრამ ამ ნოტის ერთა ლიგისადმი მტრული ხასიათი ყოველივე ეჭვს გარეშეა. მეორე მხრით ვოლდემარასმა ამას წინად ბერლინში ყოფნის დროს, როგორც ჩანს, არ ისარგებლა შტრეზემანის ბრძნული რჩევით და დაუჯერა თავის ძველ ბერლინელ მეგობრებს, რომლებიც ეძებენ გართულებასა და რევანშის შესაძლებლობას. აი რატომ აიძულა ზალესკი ერთა ლიგას საბჭოს პრესტიჟის შელახვის თავიდან აცილებამ დაეჩქარებია ამბების მსვლელობა" (ადს).

პოლონეთი გამოდმა გვედავება

ვარშავა, 15 თებერვალი. პოლონეთის ოფიციოზი „ეპოკა", უკეთებს რა კომენტარიებს „იზვესტია"-ს მოწინავე წერილს ლიტვისადმი გაგზავნილ პოლონეთის ნოტის შესახებ, სწერს:

„იზვესტია" გამოდის ვოლდემარასის დამცველის როლში და ლიტვას ამხედრებს პოლონეთის წინააღმდეგ. „იზვესტია", რომელიც მუდამ თავს ესხმოდა ერთა ლიგას, „უეცრად კომენტარიებს უკეთებს მის დადგენილებებს იმ მიზნით, რომ გააძლიეროს ლიტვის სიძულვილი პოლონეთისადმი" (ადს).

ამხ. კურსკიმ ჩააბარა რწმუნების სიგელები

ამხ. კურსკი

რომი, 15 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ახალი ელჩი რომში კურსკი მიიღო მეფემ, რომელსაც მან ჩააბარა თავის რწმუნების სიგელები. (ადს).

რიგოლის გამოსვლა

რომი, 15 თებერვალი. იტალიელმა სოციალისტმა რინალდო რიგოლამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იტალიის შრომის გენერალური ფედერაციის მდივანი იყო გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ემხრობა პროფკავშირთა ფაშისტურ კანონმდებლობას.

ფაშისტური პრესა კმაყოფილებით შეხვდა რიგოლას გამოსვლას. (ადს).

10.000 მანეთი გერმანიის გაფიცულ მელითონეებს

მოსკოვი, 16 თებერვალი. საკავშირო პროფსაბჭომ რეწდასის საბჭოთა სექციების საშუალებით შუა გერმანიის გაფიცულ მელითონეთა დასახმარებლად გადაგზავნა 10.000 მან. ეს თანხა გაგზავნილ იქნა საკავშირო პროფსაბჭოსთან არსებულ საერთაშორისო სოლიდარობის ფონდიდან (ადს).

პროვოკატორი შიშკინი

ხარბინი, 15 თებერვალი. 10 თებერვალს საბჭოთა საკონსულოში (ხარბინში) გამოცხადდა ვინმე შიშკინი, რომელმაც განაცხადა რომ ის არის აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებულ რაიონის პოლიციის სამმართველოს საიდუმლო თანამშრომელი. მისი სიტყვით პოლიციის ყველა საიდუმლო დოკუმენტები, კერძოთ ისეთები, რომლებიც შეეხება ბოლშევიკურ ელემენტებისათვის თვალყურის დევნებას, ტარდება მის ხელში. ამის დასამტკიცებლად მან წარმოადგინა დოკუმენტები პოლიციის უფროსის რეზოლიუციით: „შიშკინს შესასრულებლად".

შემდეგ შიშკინმა განაცხადა, რომ ის სარგებლობს სხვადასხვა ფსევდონიმით, როგორც მაგალითად გონჩარენკო, იშკინი, კიმი და ამ გვარებით აწარმოებს თავის მუშაობას ხარბინში პოლიტიკურ მოძრაობის გამომჟღავნების დარგში.

შიშკინის მიერ წარმოდგენილ ქაღალდებს შორის, აღმოჩნდა აშკარად შეთხზული მოხსენება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის გამგის ემშანოვის კაბინეტში თითქოს, არის იარაღის საწყობი და რომ ასეთივე საწყობები მოიპოვება აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებულ რაიონის მრავალ ადგილებში.

შემდეგ შიშკინმა წარმოადგინა დასტამბული ბროშურა-ფურცელი და „რუსეთის ნაციონალურ დემოკრატიულ პარტიის დეკლარაცია", განმარტა რა, რომ ეს „პარტია" ამჟამად ეწყობა ხარბინში. შიშკინმა განაცხადა, რომ ამ პარტიის ბედიგბალი მის ხელთ არის და თუ საბჭოთა საკონსულო დაინტერესებულია მის ლიკვიდაციაში, მას შეუძლია განახორციელოს ამ პარტიის დაშლა და გახრწნა.

გარდა ამისა შიშკინმა განაცხადა, რომ ხარბინში არსებობს „ტერორისტთა კავშირი" 19 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობენ გენერალი სერბინოვიჩი, პოლკოვნიკი ბორისოვი და ვინმე ბერეზოვსკი. ტერორისტებს განზრახული აქვთ მოახდინონ სხვადასხვა საბჭოთა მუშაკების „ლიკვიდაცია" და აგრეთვე ბოლო მოუღონ ყველა იმ თეთრგვარდიელებს, რომლებიც ხელს უშლიან ემიგრანტთა წრეების გაერთიანებას.

შიშკინმა რამოდენიმეჯერ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას შეუძლია მიაწოდოს საბჭოთა საკონსულოს ყოველგვარი ცნობები და შეასრულოს ყოველგვარი დავალება, რასაკვირველია, სათანადო გასამრჯელოსათვის, ვინაიდან ის ცუდ მატერიალურ პირობებში იმყოფება.

11 თებერვალს შიშკინი კვლავ გამოცხადდა და შესთავაზა საკონსულოს თავისი სამსახური. საკონსულომ დაუყოვნებლივ გამოიწვია პოლიციის წარმომადგენელი, რომელმაც შიშკინი დააპატიმრა. ჩხრეკის დროს შიშკინს აღმოაჩნდა რევოლვერი და დოკუმენტები, რომლებიც მან წარუდგინა საკონსულოს სამდივნოს. შიშკინმა დაპატიმრების დროს განაცხადა, რომ ის საბჭოთა მოქალაქეა.

როგორც გამოირკვა შიშკინი არის კოლჩაკის ყოფილი ოფიცერი. 1922 წელს, ციმბირში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ის მიეტმასნა საბჭოთა ორგანიზაციებს ვლადივოსტოკში, სადაც მას სხვადასხვა თანამდებობა ეჭირა. ვლადივოსტოკიდან გამგზავრების წინ, ის მუშაობდა სტამბა „კრასნოე ზნამია"-ს კანტორაში. ხარბინში შიშკინმა მოახერხა მუშაობის დაწყება პროფკავშირთა საბჭოში, რომელიც ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის აღმოჩნდა პროვოკატორი და რამოდენიმე თვის წინად მისი მითითებით ხდებოდა მასიური დაპატიმრება და ჩხრეკა (ადს).

მელითონეთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 16 თებერვალი. დაიწყო მელითონეთა მე-8 საკავშირო ყრილობა. ყრილობის გახსნას დაესწრო 581 დელეგატი—კავშირის 905.000 წევრის წარმომადგენელი.

ყრილობა გახსნა კავშირის ც. კ.-ის თავმჯდომარემ ამხ. ლეპსემ; მან რწმენა გამოსთქვა, რომ მელითონეები ახალი ამოცანების გადაწყვეტაში ისევე წინ ივლიან, როგორც ფარული რევოლიუციონური ბრძოლის დროს, როგორც ოქტომბრის რევოლიუციაში, სამოქალაქო ომში და საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია პოლიტბიუროს ყველა წევრი, აგრეთვე ამხ. ამხ. პეტროვსკი და კრუპსკაია.

ყრილობამ მოისმინა მისალმებანი: ამხ. კუიბიშევისა—საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ისა და მთავრობის სახელით; ამხ ტომსკისა—პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს სახელით; ამხ. ტელმანისა—კომინტერნის აღმასკომის სახელით. უკრაინის მელითონეთა კავშირისა და კავშირის შეფობის ქვეშ მყოფ სატანკო პოლკისაგან.

ამხ. კუიბიშევმა ყრილობის სახით სალამი უძღვნა მუშათა კლასის მოწინავე რაზმს—მელითონეებს და აღნიშნა, რომ მელითონეები რევოლიუციონური მოძრაობის დროს ყოველთვის ავანგარდის როლს ასრულებდნენ.

„ამჟამად—სთქვა ამხ. კუიბიშევმა—ჩვენ რამოდენიმედ განვიცდით საკონიუნქტურო ხასიათის სამეურნეო სიძნელეს და ერთგვარ შეუფარდებლობას მოთხოვნილებასა და მოწოდებას შორის. შეიძლება აქეთი საკითხი აღიძრას: საჭირო ხომ არ არის, რომ ამ სიძნელეთა გავლენით გადავშინჯოთ მრეწველობის სხვადასხვა დარგთა განვითარების თანშეფარდება და წინ წამოვაყენოთ ის მრეწველობა, რომელიც ფართო მოხმარების პროდუქტებს გვაძლევს? მე-15 ყრილობაზე კომპარტიამ ერთსულოვნად გადასწყვიტა, რომ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მამოძრავებელ ღერძად უნდა იყოს საწარმოო საშუალებათა დამზადება და მთელი მძიმე ინდუსტრიის გაძლიერება. ლითონის მრეწველობა ჩვენი ყურადღების ცენტრს უნდა წარმოადგენდეს, რადგან ლითონის მრეწველობის წინ წამოყენებით ჩვენ, ამასთანავე, გზადაგზა გადავწყვეტთ სამეურნეო მშენებლობის ყველა სხვა საკითხსაც. ლითონის მრეწველობაში მოქცეულია მთელი სახალხო მეურნეობის გაჯანსაღებისა და იმ დისპროპორციების აცილების სათავე, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვრჩა ძველი რეჟიმისაგან".

დასასრულ, ამხ. კუიბიშევმა მოუწოდა მელითონეებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა სახელმწიფოს ახალ მშენებლობაში.

ამხ. ტომსკიმ თავის მისასალმებელ სიტყვაში რწმენა გამოსთქვა, რომ მელითონეები პირველ რიგში იდგებიან კულტურული რევოლიუციის ფრონტზე და, თუ საჭირო იქნება, პირველნი იქნებიან აგრეთვე საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე, როგორც პირველნი იყვნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

ამხ. ტელმანმა თავის სიტყვაში გააკრიტიკა რეფორმისტების ტაქტიკა მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში (ადს).

23 და 25 თებერვლის დღესასწაულისათვის

ცირკულიარულად

აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და ყველა მაზრის აღმასკომს.

საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში წითელი არმიის მატერიალური და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკას სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას იძლევიან განხორციელებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. აღმოფხვრილ იქნეს სასწრაფო წესით ყაზარმების განათებაში შემჩნეული ნაკლი;
2. მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ჯარის ნაწილების წყლით მომარაგების საქმეში შემჩნეული ნაკლის აღმოსაფხვრელად. ხოლო სადაც საჭიროა შეკეთებულ იქნეს არსებული წყალსადენი;
3. სასწრაფოდ მოყვანილ იქნეს სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში ყველა ყაზარმის შენობა, ეზო და სხვა. და მომავალში დაშვებულ არ იქნეს მათი გაჭუჭყიანება;
4. მიღებულ იქნეს ღონისძიება წითელი არმიის ათი წლის თავისათვის სამხედრო უწყების საყაზარმო და სხვა შენობების წვრილი რემონტის ჩატარებისათვის საჭირო თანხების გამოსაძებნად;
5. აუცილებლად გათვალისწინებულ იქნეს 1928—29 წ. ბიუჯეტში წვევამდელთა სასწავლო პუნქტებისათვის მუდმივი სადგომების მოსაწყობად საჭირო თანხები;
6. გამოძებნილ იქნეს თანხები წვევამდელთა კვების ნორმების გასადიდებლად;
7. სასწრაფო წესით მიღებულ იქნეს ღონისძიებანი წითელი არმიის იმ სამეთაურო შედგენილობის პირთათვის ბინების მისაჩენად, რომელთა ბინები არ მოეპოვებათ;
8. განთავისუფლებულ იქნეს სამხედრო უწყების სახლები კერძო მდგმურებისაგან ორ ვადაზე: 20 პროც.—ამა წლის თებერვლის 23 მდე, ხოლო დანარჩენი მთელი 1928 წლის განმავლობაში;
9. ყველა იმ საცხოვრებელ სახლში, რომელიც ამჟამად შენდება, გამოყოფილ იქნეს საცხოვრებელი სივრცის 10 პროც. წითელი არმიის სამეთაურო შედგენილობის პირთათვის და საცხოვრებელი სახლების ახალი მშენებლობის გეგმებში მთელი საცხოვრებელი სივრცის 10 პროც. გათვალისწინებულ იქნეს არმიის სამეთაურო შედგენილობის პირთათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. თებერვლის 15
თბილისი—სასახლე.

ამხ. მამია ორახელაშვილის დეპეშა

„ხორურდაინ ჰაიასტანი"-ს რედაქციას

„კომუნისტური პრესის ყოველი ორგანოს ამოცანას წარმოადგენს იყოს მებრძოლი ლენინელი, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორი. მაგრამ არ შეეფერება ლენინურ გაზეთს დაკმაყოფილდეს მხოლოდ მიღწეული გამარჯვებებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა დაშნაკიზმთან და ყველა მისმაგვარ ელემენტებთან ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

აუცილებელია ამ ბრძოლაში გამოვიყენოთ მთელი ჩვენი გამოცდილება და მთელი ბოლშევიკური ენთუზიაზმი. კავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, უძღვნის რა „ხორურდაინ ჰაიასტანს" კომუნისტურ სალამს მე-2000 ნომრის გამოსვლის გამო, გამოსთქვამს რწმენას, რომ ლენინიზმის დროშა კიდევ უფრო მაღლა იქნება აღმართული, რომ იგი კიდევ უფრო თავზარდამცემი იქნება მტრებისათვის და რომ მის ირგვლივ შემოიკრიბებიან საბჭოთა სომხეთის კიდევ უფრო მეტი მშრომელი მასები, რომელნიც ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად ანგრევენ ძველ მსოფლიოს და აშენებენ შრომისა და საყოველთაო ძმობის ახალ სამყაროს.

გაუმარჯოს გაზეთის მუშაკებს! გაუმარჯოს მის მკითხველებს, დეე გამრავლდნენ ისინი, გაუმარჯოს ჩვენს საერთო საქმეს!

მ. ორახელაშვილი.

სომხეთის კოოპერაციის 25 წლის თავი

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დეპეშა ამხ. კურსელს

„საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სამდივნო, მხურვალედ მიესალმება რა სომხეთის სოც. საბჭ. რესპ. კოოპერატიულ საბჭოს, სომხეთში კოოპერატიული მშენებლობის 25 წლის თავის გამო, გამოსთქვამს შემდეგ სურვილებს:

რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ კოოპერატიული მოძრაობის სხვა დარგებთან მჭიდრო თანამშრომლობით მთლიანად განახორციელოს ვ. ი. ლენინის ანდერძი — გლეხურ სომხეთში გახდეს ნამდვილ გზად სოციალიზმისაკენ; რომ ამ თავისი ძირითადი ამოცანის განსახორციელებლად უახლოეს ხანში მიაღწიოს: მუშისა და გლეხის მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილებას.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მაქსიმალურად ჩაბმას თავის რიგებში კოოპერატიული აქტივის მუშურ-გლეხური კადრების შექმნას და აღზრდას.

გასაცემი ფასების დაკლებას მთელი აპარატის შემდგომი რაციონალიზაციისა და ზედნართი ხარჯების შემცირების საშუალებით.

საბრუნავი თანხების გადიდებას და გაფართოებას.

ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულ და აქტიურ დახმარებას თქვენს ძნელ და მეტად საპასუხისმგებლო, მაგრამ სამაგიეროდ უაღრესად სასარგებლო მუშაობაში ,,განათლებულ კოოპერატორთა წყობილების" შესაქმნელად.

საუკეთესო სურვილებით და გულითადი სალამით საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი.

მ. ორახელაშვილი.

ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება

მოსკოვი, 16 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭომ მოისმინა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ 1927—28 წელში. საერთო საკავშირო ბიუჯეტით ადმინისტრატიული ხარჯები მიმდინარე წელში შემცირდა 19,5 პროც-ით. მაგრამ დირექტივის შესრულებისათვის კიდევ საჭიროა ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება 918.893 მან. რაოდენობით. სამმართველო ხარჯები მიმდინარე წელში შემცირდა მხოლოდ 10—16 პროც.-ით; დირექტივის შესრულებისათვის საჭიროა სამმართველო ხარჯების შემცირება ყველა რესპუბლიკებში 6.639.000 მან. რაოდენობით.

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს დაევალა თვალყური ადევნოს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების გატარებას და განაგრძოს მუშაობა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სათანადო დადგენილებათა განსახორციელებლად. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიის 30 წლის თავი

მოსკოვი, 16 თებერვალი. ა.-წ. მარტში შესრულდება პარტიის არსებობის 30 წლის თავი. ამის გამო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ პარტისს და აგიტპროპს დაავალა იუბილეის დღისათვის გამოსცეს წერილები, პოპულიარული ბროშურები და თეზისები, რომლებშიაც გაშუქებული იქნება პარტიის პირველი ყრილობის და ამ ყრილობის მოსამზადებელი პერიოდი.

ცეკამ დაადგინა ამ იუბილეის არ მისცეს ფართო საგიტაციო კამპანიის ხასიათი და დაკმაყოფილდეს მოხსენებათა ჩატარებით სარაიონო, პარტიულ და კომკავშირთა კრებებზე. (ადს).

ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა გამგეების თათბირი

მეორე სხდომა

ამხ. ვარო ჯაფარიძის მოხსენება

სრ. საქართველოს მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა გამგეების თათბირმა 15 თებერვლის საღამოს სხდომაზე მოისმინა ამხ. ვარო ჯაფარიძის მოხსენება—1927—28 წლის მოწვევის სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი მოსამზადებელი მუშაობისა, რომელიც მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებამ ჩაატარა სადელეგატო კრებების არჩევნების გარშემო. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანია პარტუჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანიასთან ერთდაიმავე დროს მიმდინარეობდა, ჩვენ მაინც დიდი მიღწევები გვაქვს სადელეგატო კრებების არჩევნების საქმეში ადგილებზე.

კამპანიის წარმატებით ჩატარებაში მთელმა პარტიულმა მასამ მიიღო მხურვალე მონაწილეობა,—აცხადებს მომხსენებელი. მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ თბილისი. 1926—27 წ. საარჩევნო კრებებზე აქ მონაწილეობა მიიღო 6.469 კაცმა. 1927—28 წელს კი ეს რიცხვი გაიზარდა 70 პროცენტით და ავიდა 11.626 კაცამდე, რაც მოწმობს მშრომელთა მასებში სადელეგატო კრებებისადმი ინტერესის ზრდას.

მომხსენებელი ჯამს უკეთებს რა სადელეგატო კრებების არჩევნების შედეგებს, აღნიშნავს, რომ წინად არსებობდა 345 სადელეგატო პუნქტი, 1927—28 წელში კი მისი რიცხვი დავიდა 333-დე. ამრიგად ჩვენ გვაქვს შემცირება 12 პუნქტით, სამაგიეროდ დელეგატ ქალთა რიცხვი გაიზარდა 1.172-ით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს:: ამხ. ლეტოიანმა (რაჭის მაზრა) ტარასოვმა, კოხტავამ (ქუთაისის მაზრა). თომოევმა (სამხრეთ-ოსეთი) ნადარეიშვილმა, ჯიხურიამ (ფოთი), ზურაბიანმა, კოცზირიძემ, ლომთათიძემ, ცაკორიამ და სხვებმა.

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. ვარო ჯაფარიძემ წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა. რის შემდეგ დამთავრდა 15 თებერვლის საღამოს სხდომა.

მესამე სხდომა

ამხ. მარკმანის მოხსენება

16 თებერვლის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. მარკმანის მოხსენება—მკვიდრ მოსახლეობისა და ეროვნულ უმცირესობათა მშრომელ ქალების ჩაბმა და დაწინაურება წარმოებაში.

მთელ რიგ ახალი ფაბრიკა-ქარხნების ცვების და წარმოების გაფართოების გამო,—ამბობს მომხსენებელი, უკანასკნელი წლების განმავლობაში პროფკავშირთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მამაკაცი მუშა-ხელის რიცხვი ჩვენ წარმოებებში გაიზარდა 105 პროციით, ხოლო მუშა-ქალების კი 95 პროც.-ით

ეხება რა უმუშევრობის საკითხს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უმუშევრობა უმთავრესად ვრცელდება კვალიფიკაციის არამქონე ქალთა შორის.

რაც შეეხება ხელფასის საკითხს, აქაც არის მუშა-ქალების ერთგვარი ჩამორჩენილობა მამაკაცის ხელფასთან შედარებით, მამაკაცის საშუალო ხელფასი 1926 წელს იყო 3 მან. 41 კაპ. მუშა-ქალის კი 1 მ. 66 კაპ. წარმოების ცალკე დარგების მიხედვით თუ ავიღებთ, დიდ განსხვავებას აქვს ადგილი მამაკაცის და მუშა ქალის ხელფასის შორის. თამბაქოს ქარხანაში მამაკაცების ხელფასის ზრდა გამოიხატება 13,4 პროც.-ით, ქალების 19,9 პროციით. მეჭედავთა შორის კი მამაკაცების ხელფასის ზრდა უდრის—5,1 პროც.-ს, ქალების კი—26,9 პროც.

მთავარი, რაც აფერხებს ქალთა შორის ხელფასის მომატების საკითხს, ეს არის მუშა ქალთა სათანადო კვალიფიკაციის უქონლობა, პროფკავშირების უპირველესი ამოცანაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მშრომელ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება პროფორგანიზაციების მუშაობაში ქალთა მონაწილეობის საკითხზე და ამბობს, რომ 1926 წელს დაბალი პროფუჯრედების გადარჩევაში ქალთა მონაწილეობა გამოიხატა 13 პროც., 1927 წელს კი 13,7 პროც. ამრიგად ზრდა აქ უმნიშვნელოა. მომავალში მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა პროფორგანიზაციების მუშაობაში მშრომელ ქალთა საგრძნობმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა.

დასასრულ მომხსენებელი ეხება საზოგადოებრივ და სამეურნეო მუშაობაში მშრომელ ქალთა ჩაბმის საკითხს და ამბობს, რომ მუშაობა ამხრივ მოისუსტებს. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში ქალთა მონაწილეობა გამოიხატება 9,8 პროცენტში, საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების მუშაობაში—13,3 პროც. შრომის დაცვის საქმეში—17 პროცენტში და სხვა.

მომავალში აუცილებლად საჭიროა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება. მშრომელი ქალები უფრო აქტიურად უნდა ჩაებან პროფესიონალურ და საზოგადოებრივ-სამეურნეო მუშაობაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო მ. გ. ქალთა განყოფილებების გამგეთა უმრავლესობამ.

მეოთხე სხდომა

ამხ. ოგანოვის და ჩერქეზიშვილის მოხსენება

16 თებერვლის საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ოგანოვის მოხსენება სეზონურად მომუშავე და მოჯამაგირე ქალთა შორის მიწა-ტყის კავშირის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში შენიშნულია კავშირის წევრთა თვალსაჩინო ზრდა. კავშირის წევრთა შორის მოჯამაგირეები წარმოადგენენ 16 პროცენტს. მთელ საქართველოში კავშირში ჩაბმულია 2.993 ქალი. 15.000-დე მოჯამაგირე ჯერ კიდევ არაა კავშირში ჩაბმული.

სეზონურად მომუშავე ქალთა შორის მუშაობა სპეციფიური პირობების გამო ვერაა სათანადოთ დაყენებული. სეზონურად მომუშავე ქალებზე კოლექტიური ხელშეკრულებები თითქმის არ ვრცელდება. მეტად დიდი შრომის გაწევაა საჭირო, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერას მიაღწიონ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩერქეზიშვილმა სეზონურად მომუშავე ქალთა შორის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობას მიწა-ტყის კავშირი არ აწარმოებს სისტემატიურად და თავის მოქმედებას ადგილებზე არ უთანხმებს მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებებს.

შრომის დაცვის საქმე მოისუსტებს. ზოგიერთ მოჯამაგირე ქალები მუშაობენ ღამის 12 საათამდე და ხელფასს იღებენ 1 მანეთამდე დღე-ღამის განმავლობაში. კავშირში მათი ჩაბმის საქმე არაა შესაფერისად მოგვარებული. კულტურული მუშაობა მათ შორის არ წარმოებს ისე, როგორც საჭიროა. მოჯამაგირე ქალთა გაუნათლებლობა ითხოვს წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტების მოწყობის გაძლიერებას. კავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ბავშობის და დედობის დაცვის დაწესებულებათა და საზოგადოებრივი სასადილოების მოწყობის საქმეს ადგილებზე. მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებების ხაზით ქუთაისში, თელავში და სიღნაღში უნდა მოეწყოს სპეციალური სადელეგატო პუნქტები სეზონურად მომუშავე ქალთათვის.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გვასალიამ, ჩერქეზიშვილმა, ჯიბუტიმ, ლომთათიძემ; ნათინიანმა, თალაკვაძემ, ტაგიევმა, ჯოზაშვილმა, ძინძიბაძემ, ედიგარიანმა და ოტიაშვილმა.

თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება

(უნივერსიტეტის ათი წლის იუბილეს გამო)

უმაღლეს სასწავლებლის საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ზრდასთან. საქართველოს ცხოვრების მე-19 საუკუნე არის ხანა კაპიტალისტურ საწარმოო პირობების შექმნისა და განვითარებისა. რკინის გზა, ფოსტა - ტელეგრაფი, სკოლათა ქსელი ვითარდებოდა, სამთამადნო და საქალაქო მრეწველობა ფეხს იკიდებდა და იზრდებოდა.

მთელი კავკასია, და კერძოდ საქართველო, წარმოადგენდა ისეთს მდიდარ ბუნებრივ სამრეწველო ბაზას, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის შოვინისტურ - ნაციონალისტურ პოლიტიკასაც არ შეეძლო ეკონომიურ ძალთა განვითარების საქმის სრულიად ჩაშლა. ნავთი, სპილენძი, მარგანეცი, ხე - ტყე, ეგზოტიური და ტროპიკული კულტურა, რომელიც ესოდენ აუცილებლობას შეადგენდა მთელი რუსეთის ეკონომიკისათვის, წელშივე სწყვეტდა თვითმპყრობელობის დუხჭირს ეკონომიურ პოლიტიკას და ცხოვრებას მოაქანებდა ახალი კაპიტალისტური გზისაკენ.

მე-80—90 წლებიდან ჩვენს ცხოვრების სარბიელზე მოსჩანს არა მარტო თოხიანი გლეხი და მიმინოთი მონადირე აზნაური, არამედ ჩაქუჩიანი პროლეტარი, მეცნიერულ ცოდნით აღჭურვილი ინჟინერი, ქიმიკოსი და სხვა. საქართველოს ეკონომიური რევოლიუცია იყო ამავე დროს რევოლიუცია ჩვენი ხალხის სოციალურ შემადგენლობაში. ეპისკოპოსების და მღვდლების გვერდით წამოიჭრენ სხვადასხვა ჯურის ვოიაჟორები, თავადების და აზნაურების გვერდით — ბირჟის და ქარხნის ხალხი, ყმების ადგილი მუშებმა და ხელოსნებმა დაიჭირეს.

ცხოვრების ამ ორომტრიალში დანარჩენი საზოგადოებრივი ელემენტებიც ბუნებრივად იქმნებიან. შეიძლება თუ არა ეკონომიკა უფოსტოთ? შეიძლება თუ არა საქონლის წარმოება უტრანსპორტოთ? შეიძლება თუ არა უცხოეთში აქ დამზადებულ ნაწარმოების გატანა და იქიდან ჩვენთვის საჭირო მასალის შემოტანა თუ არ გვაქვს სამისო ინფორმაცია? აი, სწორედ ამ ნიადაგზე შეიქმნა მთელი რიგი კულტურული ორგანიზაციები, რკინის გზა, ფოსტა, პრესა და სხ. აქ არის ობიექტიური ნიადაგი თანამედროვე ინტელიგენციის შექმნისა და გაზრდისა.

კაპიტალისტური მეურნეობა ერთს დღესაც ვერ გასძლებს, თუ ის არ არის მოწყობილი სათანადო სკოლებით. ის ვერ გაიშლება, თუ იგი არ შეიმოსა სათანადო კანონებით, სათანადო სამართალით, აღმასრულებელი აპარატით, მოანგარიშეებით, საიმედო პოლიტიკური და ეკონომიური კალკულიატორებით. ეს ეკონომიური მოთხოვნილებები იყო გამომჩეკი ჩვენში ისეთი სოციალურ კატეგორიების, როგორც არიან პედაგოგები, იურისტები, მოსამართლეები, მოხელეები, ეკონომისტები, სტატისტიკოსები. ძველმა ცხოვრებამ არც ამ სახით, არც ამ მასშტაბით არ იცოდა ეს ხალხი. ჩვენი ხალხის ეს სოციალური ფენები პირმშო შვილია საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეკონომიური პირობებისა.

მაგრამ ვერც ერთ მსხვილ საზოგადოებრივ მოვლენას, განსაკუთრებით ჩვენს ცხოვრებაში, ვერ გავიგებთ, თუ მხედველობიდან გაუშვებთ ეგრედ წოდებულ იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ძველი რუსეთის თვითმპყრობელობა აწარმოებდა. საქართველოს ეკონომიკის ზრდა ბუნებრივი გზით არ მიდიოდა. სახალხო მეურნეობაზე რუსეთის ბიუროკრატია არა თუ არ ფიქრობდა, მას ხელს უშლიდა ყოველის საშუალებით. თვითმპყრობელობის მძიმე პოლიტიკა იწვევდა ჩვენში ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ სულისკვეთებას. როგორც საქართველოს, ისე საერთოდ ამიერ-კავკასიის ქალაქები გადაიქცნენ რევოლიუციონურ ძალების ბუდეებათ.

ჩვენ ხალხში შეიქმნა სკოლა, შეიქმნა უმაღლესი განათლების ხალხი, შეიქმნა ინტელიგენცია, ე. ი. ის ელემენტი, რომელიც ბუნებრივ საჭიროებდა როგორც დაბალს, ისე საშუალო და უმაღლეს სკოლას. თვითმპყრობელობას აქაც თავისი მახინჯი პოლიტიკა ჰქონდა. ამ უკანასკნელს სრულიად არ შეეძლო ჩვენი ხალხის შვილები წაეყვანა რუსეთში დაბალი და საშუალო სკოლისათვის, ეს იქნებოდა პირველ ყოვლისა მთელი ჩვენი მოზარდი თაობის მთლიანი გადასახლება, ხოლო ესეც რომ მოეხერხებია, რუსეთის ძველს მთავრობას, ამდენი უცხო ენაზე მოლაპარაკე თაობის რუსეთის სკოლაში შეყვანა ფიზიკურად მოუხერხებელი იყო. თვითმპყრობელობას სხვა გასაქანი არ ჰქონდა თუ არა ის, რომ ადგილობრივ გაეხსნა დაბალი და საშუალო სკოლები, მაგრამ მას შეეძლო სკოლათა ამ ქსელის დამახინჯება, რასაც ბიუროკრატია „პირნათლად" ასახურებდა მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. ამ შემთხვევაში თვითმპყრობელობა ცდილობდა ქართველ ახალგაზრდობის გონებიდან წაეშალა ყოველივე ის, რაც შეიცავდა საქართველოს დახასიათებას. ქაბუკს წარმოდგენა არ ჰქონდა კავკასიონის ქედზე, მას ჰიმალაისა და კარპატებზე ელაპარაკებოდნენ; ჩვენმა მოწაფემ არაფერი იცოდა მუღანის ველზე, ელაპარაკებოდენ კი აფრიკის უდაბნოებზე. მას არაფერი ესმოდა საქართველოს ისტორიაზე, ასწავლიდნენ კი მიხეილ თედორის-ძის ეპოქას. ჩვენს შვილებს ესაჭიროებოდათ მეცნიერული დისციპლინათა ციკლი, მას კი სახარებასა და იერარქიის წესებს ასწავლიდნენ. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებელს—აქ კი ბიუროკრატიის ნებისყოფა იყო მტკიცე და გარკვეული, ამიერ-კავკასიაში თვითმპყრობელობის ბატონობის მთელს პერიოდში არ იქმნა გახსნილი არც ერთი უმაღლესი სკოლა; ამ მიზნისათვის ადგილობრივი მკვიდრნი შორს უნდა წასულიყვნენ. ფაქტიურად კი ეს ნიშნავდა მათ დარჩენას სასწავლებლის გარეთ, რადგან ვის შეეძლო რუსეთის უმაღლეს სკოლაში შვილის მიბარება? ეს მოითხოვდა უმრავ სახსარს. გარდა ამ ხელისშემშლელ პირობებისა, რუსეთის ძველი მთავრობა ჩვენს სტუდენტობას კარებს უკეტავდა რუსეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში და ერეკებოდა მას დაბალი ღირსების განაპირა უნივერსიტეტებში.

უმაღლესი სასწავლებელი ესაჭიროებოდა საქართველოში უმთავრესად ჩვენს მუშებს და გლეხებს, ვინაიდან ამათ თავის უსახსრობისა გამო სრულიად არ შეეძლოთ უმაღლესი განათლების მიცემა სხვაგან თავიანთ შვილებისათვის. ასე, რომ არც ერთი სოციალური ჯგუფი არ იყო ისე ღრმად დაინტერესებული ქართულს, ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებელში, რამდენადაც ჩვენი მუშა და ჩვენი გლეხი. მაგრამ ჩვენ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის იდეა მარტო ჩვენს პროლეტარულ ელემენტში იყოს განვითარებული. არა, თვითმპყრობელობის პოლიტიკა უმაღლეს სასწავლებელში იმდენად უხეში, ტლანქი, მახინჯი და შეუწყნარებელი იყო, რომ ამ იდეას ესარჩლებოდნენ დანარჩენი სოციალური ჯგუფებიც.

შეეძლო კი მარტო ქართველ ხალხს, როგორც ასეთს, თავისი ელემენტარული უფლებების განხორციელება? რასაკვირველია არა. მას მთელი თავისი რევოლიუციონური მარაგის ერთობაში დახარჯვითაც არ შეეძლო მიწაზე გაესწორებინა თვითმპყრობელობა. მხოლოდ რუსეთის რევოლიუციონურ ხალხთან მის მუშებთან და გლეხებთან დაკავშირება იძლეოდა გარანტიას ამ საქმეში გამარჯვებისა, მხოლოდ ერთი მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი მოგვცემდა საშუალებებს თვითმპყრობელობის დასანგრევათ და ახალ ცხოვრების ასაშენებლად.

აქედან ყოველი სერიოზული მკვლევარი ხედავს ამ საქმის ნამდვილ გარემოებას. სად არის სათავე და საიდან მომდინარეობს იდეა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლისა? პასუხი აშკარაა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლის იდეა გამომდინარეობს პირველ ყოვლისა საქართველოში შექმნილ ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებიდან. ამ იდეის ყველაზე მტკიცე მატარებელი არის საქართველოს მშრომელი ხალხი. სხვა მოვლენებთან ერთად ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი არის შვილი რევოლიუციის. დღეს ჩვენ არ გვექნებოდა საქართველოს უნივერსიტეტი, რომ ლენინგრადის და მოსკოვის პროლეტარიატს არ დაემხო რუსეთის თვითმპყრობელობა. რუსეთის რევოლიუციიდან მივიღეთ ჩვენ საქართველოს უნივერსიტეტი და მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის სიმტკიცე, მისი მონაპოვართა დაცვა და გამაგრება საწინდარია ჩვენი უნივერსიტეტის გაზრდის და განვითარების. წაშალეთ თქვენ რუსეთის რევოლიუცია ჩვენს ისტორიიდან და ჩვენ შეგვიძლია მათემატიკური სისწორით დავამტკიცოთ, რომ მყისვე წაიშლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლის არსებობაც.

თებერვლის რევოლიუციამ ჩვენ მოგვაშორა ძველი რუსეთის თვითმპყრობელობა, რუსეთი ნიკოლოზ მეორისა. ეს ისტორიული გარემოება ნიშნავდა საზოგადოებრივ ბრძოლის ასპარეზიდან ერთი ძველი ფეოდალური ორგანიზაციის ჩამოშორებას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ამიერიდან თავს არ წამოყოფდა სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა შეხედულებათა სისტემა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების მიხედვით. 1917 წლის თებერვლის რევოლიუცია არის ახალი სათავე ახალი სოციალური და კლასობრივი ბრძოლისა.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ თებერვლის რევოლიუციის პირველი მემკვიდრენი იყვნენ რუსეთის ბურჟუაზიის უშუალო ან არა პირდაპირი წარმომადგენელნი. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ჩვენ მოწმენი ვართ გუჩკოვის და კერენსკის მთავრობათა, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ლენინგრადის იმდროინდელი საბჭო, კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. თებერვლის რევოლიუციამ გაშალა მთელი რიგი ამოცანათა, მის წინაშე წამოიჭრენ მთელი რიგი ძირითადი საკითხები, ახალი ხანა მოითხოვდა ახალ საქმეებს. ამ დიდ საქმეთა შორის ერთ-ერთ მომენტს შეადგენდა აგრეთვე ნაციონალური სკოლა და ნაციონალური უმაღლესი სასწავლებელი.

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ამ ისტორიულ პირობებში?

მართალია, ძველი რუსეთი დაიმსხვრა, მაგრამ 300 წლის სივრცეზე წარმოებული ნაციონალისტური ტრადიციების და სულისკვეთების აღმოფხვრა არც ასე ადვილი საქმე გამოდგა. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ სწორედ თებერვლის რევოლიუციის პირველსავე დღეებში ნაციონალურ საქმეების დამსამარებლად გამოვიდნენ ისინი, რომელნიც თითქოს მოწოდებულნი იყვნენ ეროვნულ თავისუფლებისათვის ფართოდ გაეღოთ კარები. მაგრამ ბურჟუაზიული და იმპერიალისტური სული, როგორც ვხედავთ, ღრმად იყო დამკვიდრებული გუჩკოვ - კერენსკის ახალს და ხანმოკლე სამეფოში. ამ უკანასკნელთა დავალებით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ევგენი გეგეჭკორი შეიმგზავრება ფინლიანდიაში და კარებს ულუქავს ფინეთის ნაციონალურ პარლამენტს ფინლიანდიის სეიმს: რუსეთის მთავრობის წევრი ირაკლი წერეთელი მიემგზავრება უკრაინაში და შეუძლებლად ხდის უკრაინელების ეროვნულ თავისუფლებას. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ თავისუფლებას და უმაღლეს სკოლას, ამ საქმეზე ხომ არც ერთი დადებითი კრინტიც არ დაძრულა. ასე ხდებოდა არა მარტო საქართველოს მიმართ, ასევე ხდებოდა, როგორც მოვიხსენიეთ, უკრაინის მიმართ, ასევე ხდებოდა ფინლიანდიისა და თვით შიდა რუსეთის ხალხების მიმართაც. გუჩკოვ - კერენსკის პერიოდი ნამდვილად იყო პერიოდი პოლიტიკური უძლურების, პერიოდი რევოლიუციის ლიკვიდატორების.

განა შეიძლებოდა ამ ხალხის ისტორიულ პოსტზე გაჩერება? შეიძლებოდა ისტორიულად დაგუბებულ რევოლიუციონურ ინერციის შეჩერება, რომელიც მოდიოდა 150 მილიონიან ხალხის გულიდან? რასაკვირველია, არა. მხოლოდ ამ ისტორიულ და ობიექტიურ პირობებით აიხსნება ის გარემოება, რომ გუჩკოვ - კერენსკის მთავრობამ ნახევარ წელიც ვერ იბოგინა. ივლისში მან პირველად იწვნია პროლეტარიატის მხრივ ისტორიულ ლახტის ძალა, ხოლო ოქტომბერში ის სავსებით დაინგრა. ოქტომბრის რევოლიუცია პირველ ყოვლისა არის რევოლიუცია იმ ტრადიციების და ნაშთების წინააღმდეგ, რომელიც თვითმპყრობელობამ თავის მომავალ თაობას — ბურჟუაზიას უანდერძა.

ერების საკითხი, მუშათა განთავისუფლების საქმე, გლეხების ოცნებანი მხოლოდ ოქტომბრიდან გაიშალა, მხოლოდ აქედან იწყება ახალი ეპოქა სოციალისტური რევოლიუციისა, ეპოქა ნამდვილი პროლეტარული რევოლიუციისა, ეპოქა ნამდვილი პროლეტარული თავისუფლების და წყობილებისა.

ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია საქართველოში იწყება არა 1917 წლის ოქტომბრიდან, არამედ 1921 წლის 25 თებერვლიდან, როცა საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა, ე. ი. კერძოდ საქართველოს ისტორიას აქვს ერთგვარი ისტორიული ინტერვალი თითქმის ოთხი წლისა, როცა აქ მენშევიკური მთავრობა გაბატონდა. ჩვენ სწორედ ამ ინტერვალს უნდა შევეხოთ, ვინაიდან მაშინ ჩაისახა ის უნივერსიტეტი, რომლის ათ წელს ჩვენ ვდღესასწაულებთ.

თებერვლის რევოლიუციამ და განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციამ სხვათა შორის ერთი შედეგი მოიტანა. ძველი წყობილების დანგრევით საქართველოს მოაწყდა ის ინტელიგენტური ძალები (უმთავრესად), რომელნიც გაფანტული იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. თუ წინად ინტელიგენციის ტერიტორიალურად დაფანტულობის ხანაში მძლავრი იყო იდეა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა, ინტელიგენციის შეჯგუფების დროს ეს იდეა კიდევ უფრო გაძლიერდა. უეჭველია საქართველოს უნივერსიტეტის იდეა ბევრისათვის მხოლოდ წოდებრივ საქმეს შეადგენდა, ბევრისათვის ის იყო კლასობრივი ინტერესი, დანარჩენისათვის ის იყო ინტერესი პირდაპირ სასიცოცხლო. ასეთს პირობებში ვერავითარი ძალა ვეღარ შეუშლიდა ხელს უნივერსიტეტის დაარსებას.

მაგრამ მეტის-მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ მენშევიკების ხელისუფლებიდან ქართველ ხალხს არ მიუღია უნივერსიტეტი, როგორც აქტი სახელმწიფოებრივ მშენებლობისა. საყურადღებოა, რომ საქართველოს უნივერსიტეტი არ დაარსებულა როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. მენშევიკურმა მთავრობამ თავის ოქროს პერიოდშიაც ვერ მისცა ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი უნივერსიტეტი.

1917 წლის შემოდგომიდან (ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ) თბილისში არსდება ეგრედ წოდებული „საუნივერსიტეტო საზოგადოება". ამ საზოგადოებაში შედიან ექვთიმე თაყაიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, კ. აფხაზი, ვ. მ. ჯამბაკურ-ორბელიანი, გრიგოლ რცხილაძე, ივ. გომართელი და სხვ. აი, ეს კერძო საზოგადოება იწყებს უნივერსიტეტის გარშემო მუშაობას. თქვენ ხედავთ, რომ აქ არიან ყველა, ყველა ჯგუფები ჩვენი საზოგადოებისა, მაგრამ აქ არ არის არც ერთი წარმომადგენელი მუშათა კლასის, თუნდაც მენშევიკური მუშათა ორგანიზაციების. აქ არ არიან ორგანოები, რომელნიც გამოხატავენ ჩვენი გლეხკაცობის ფართო ინტერესებს. აქ არა სჩანს მენშევიკური ხელიც, როგორც სახელმწიფოსი. ასეთივე ხასიათს ღებულობს უნივერსიტეტისათვის მუშაობის შემდეგი ნაბიჯები.

რა საფუძველზე და წყაროებზე უნდა აიგოს უნივერსიტეტი? ხსენებული „საუნივერსიტეტო საზოგადოება" თავის წრიდან ყოფს ორ კომისიას: ფინანსიურს და აკადემიურს. ფინანსიურ კომისიაში შედიან: იასონ ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე) გ. ყურული, ნ. წერეთავა, ა. ლორთქიფანიძე, ვ. ბერელაშვილი, კ. კიკნაველიძე, გველესიანი და სხვ. ამ კომისიამ გადასწყვიტა უნივერსიტეტის მოთავსება ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში (ეხლანდელი მთავარი შენობა უნივერსიტეტის). ცნობილმა პედაგოგმა ნ. ცხვედაძემ თავიდანვე დასახა ეს შენობა უნივერსიტეტისათვის. რაც შეეხება წყაროებს, ამისათვის შემოღებული იყო საწევრო გადასახადი, სწავლის ფული, პროცენტები 800 ათას მანეთიდან, რომელიც გადადებული უნდა ყოფილიყო თბილისის საადგილმამულო ბანკის მიერ. ყოველწლიური დახმარება შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან და კერძო პირების შემოწირულებანი.

ამ წყაროებში აშკარად სჩანს ის საფუძვლები, რომლებზედაც უნდა აგებულიყო თბილისის უნივერსიტეტი, აქ სჩანს ყველანი, მაგრამ არა სჩანს მენშევიკური მთავრობა, აქ არ არის მენშევიკური სახელმწიფო.

საქმის მდგომარეობა ასეა არა მარტო ამ მხრივ, აკადემიური მხარეები, რომელიც არა ნაკლებ საინტერესოა და ძვირფასია მთელი ხალხისათვის ასეთსავე მიმართულებით წავიდა. ჩვენ უკვე აღვნუსხეთ, რომ საფინანსო კომისიის გარდა ამორჩეულ იყო აკადემიური კომისია. აი წევრები ამ კომისიისა პროფ. პეტრე მელიქიშვილი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე და შ. ნუცუბიძე.

როგორც ხედავთ უნივერსიტეტის მთელი სვე - ბედი ინტელიგენციის გარკვეულ ფენების ხელში იყო მოქცეული. ამ აკადემიურ საქმეში სრულიადაც არ მოსჩანს უმაღლეს სასწავლებლისადმი ის უდიდესი და ულრმესი ინტერესები, რომელიც ყოველ სახელმწიფოს აქვს უნივერსიტეტის საქმისადმი, აქ არა სჩანს ჩვენი ხალხის ფართო ფენები, რომელთათვის უმთავრესად საჭირო და საოცნებო იყო უმაღლესი სასწავლებელი.

განა ასეთ პირობებში თავის თავად ცხადი არ არის, რომ უნივერსიტეტის დაარსება ბევრში გამოიწვევდა შიშს და პესიმიზმს. ყოველ ახალ მნიშვნელოვან დაწესებულებას ესაჭიროება არა ჩვეულებრივი ხელშემწყობი პირობები. საქართველოში კი ჩვენ დავინახეთ მენშევიკური მთავრობის მხრივ მხოლოდ ნიჰილისტური დამოკიდებულება, დამოკიდებულება მხოლოდ მაყურებლის, დამოკიდებულება მხოლოდ გარეშე ადამიანისა უცხო საქმისადმი.

1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. დააკვირდით თქვენ მისი აკადემიური მუშაობის პირველსავე გეგმას და თქვენ მყისვე გაიგებთ, თუ ჩვენი საზოგადოების გარკვეულ სოციალური ფენებს საით მიყავდა თბილისის უნივერსიტეტი.

აკადემიური კომისია მართავს მთელ რიგ სხდომებს (26 ნოემბერს, დეკემბერს 8, 17, 19, 27, იანვარს 3, 10, 13; 17 და 21—1). ამ სხდომების შემდეგ გადაწყდა დაარსება ფილოსოფიური ფაკულტეტის. (სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც სამი ძირითადი განყოფილება ექნებოდა: ჰუმანიტარული, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო). აგრეთვე ჩამოყალიბდა ადმინისტრატიული და აკადემიური აპარატი. რექტორად არჩეულ იქნა დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ფაკულტეტის დეკანად პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მდივნად პროფ. ი. ყიფშიძე.

რა სახელმწიფოებრივი და სახალხო მეურნეობის მიზნები იყო უნივერსიტეტთან გადახლართული? ჩვენ ვერ ვხედავთ ხსენებულ აკადემიურ კომისიის არც ერთ აქტში, არც ერთ პერიოდულ ორგანოში არც ერთ წერილს, არც ერთ მოხსენებას მენშევიკურ მთავრობის უნივერსიტეტის და მთელ ჩვენ სახალხო მეურნეობის ინტერესების შეგუებას და აკადემიურ მუშაობაში საერთო, ეკონომიურ ძირითად ინტერესების გამოხატვას. ამგვარად საქართველოს უნივერსიტეტი დაარსდა როგორც კერძო დაწესებულება, ხოლო უნივერსიტეტმა ნახევარ წლის შემდეგ, როცა ის სახელმწიფო ორგანიზაციათ გადაიქცა (1918 წელში) მენშევიკური მთავრობიდან მიიღო მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 75,340 ათასი მანეთი.

მკითხველი საზოგადოება ამ მასალიდან ნათლად წარმოიდგენს თბილისის უნივერსიტეტის მდგომარეობას ამ პერიოდში.

ჩვენ აღარ შევუდგებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ პერიოდის ისტორიას: რა ხასიათი მიიღო ჩვენმა უნივერსიტეტმა, როგორ გაიშალა, იგი, რა ამოცანები აქვს, როგორ გადაეხლართა საქართველოს ცხოვრების ძირითად საკითხებს და საქმეებს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ,—ეს უნდა შეიქნეს საგანი სხვა წერილების.

სახ. უნივერსიტეტის გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ნ. კახიანის ხსოვნას

დაუვიწყარ ამხ. პროფ. კახიანის ხსოვნას

სამეცნიეროსა და პრაქტიკული მედიცინის მუშაკთა რიგს კვლავ გამოაკლდა ერთი გამოჩენილი მოღვაწე.

15 თებერვალს გარდაიცვალა ნ. ს. კახიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი და ოპერაციული ქირურგიის კათედრების ხელმძღვანელი და რკინის გზის საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილების გამგე.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა დოსტაქარმა, თავისი ცოდნითა და ბრწყინვალე ოპერაციული ტექნიკით ჯერ კიდევ ადრე მიიქცია სამეცნიერო წრეების ყურადღება და სწრაფად განვლო პროფესორის ხარისხის მძიმე გზა.

იგი მუდამ მზად იყო დახმარებოდა ავადმყოფს, მუდმივ აღტაცებული იყო ახალი მოსაზრებათა გამოძებნით და ახალი და თავისებური სადოსტაქრო მეთოდების ცხოვრებაში გატარებით, რაც მას აძლევდა საშუალებას ისეთ თითქოს უიმედო შემთხვევების დროს აღმოეჩინა სათანადო სადოსტაქრო შემწეობა (მაგალითად ოპერაციები თავის ტვინზე და სხვა). ამან შეუქმნა სახელი პროფ. კახიანს საქართველოს ფართო მასებში და სამკურნალო წრეებში.

პროფესორი კახიანი იყო სამკურნალო ფაკულტეტის რამოდენიმე კათედრის უშუალო ხელმძღვანელი, ნიჭიერი მასწავლებელი და მრავალ სამეცნიერო შრომათა ავტორი ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებზე.

სხვათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მისი შრომები ქართულ ენაზე: ქირურგიული ანატომიის სახელმძღვანელო, ოპერატიული ქირურგია, კლინიკური და ოპერატიული ქირურგიის სახელმძღვანელო. მისი რედაქციით არის თარგმნილი ქართულად ცნობილი პროფესორ ზიბრიეის სახელმძღვანელო და სხვა.

პროფ. კახიანი ამასთან ერთად პპოულობდა საშუალებას არ ჩაკეტილიყო აკადემიური მოღვაწეობის ვიწრო ოკალში, არამედ მოღვაწეობდა მასებისათვის ხელმისაწვდომ პრაქტიკულ ასპარეზზე და თავის მუშაობას საფუძვლად უდებდა მთელს თავის ცოდნას, ენერგიასა და ხალისს.

პროფ. კახიანი გარდაიცვალა სრული ძალ-ღონის ასაკში თავის სადარაჯოზე გაციების გამო, რომელიც იყო გამოწვეული ავადმყოფების დროს ოპერაციის გაკეთებით.

პროფ. კახიანის სიკვდილი არის აუნაზღაურებელი, რომელსაც თანაბრივ სიმწუხარით იგრძნობენ სამეცნიერო მუშაკი, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, მთელი ქართველი მშრომელი მოსახლეობა, განსაკუთრებით თბილისის და ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროლეტარიატი.

პროფ. კახიანი დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც მეცნიერი, რომელმაც მეცნიერება დაუკავშირა პრაქტიკულ ცხოვრებას და გააბა ჯაჭვი მეცნიერებასა და შრომას შორის.

გრ. ძუძაძე.

იშვიათი ადამიანი

გუშინწინ, ღამის 9 საათზე და 20 წუთზე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა პროფ. ნ. კახიანი. განსვენებულს ვიცნობდი კიდევ 1913 წლიდან, როდესაც ოდესის უნივერსიტეტში მუშაობდა ცნობილ ანატომ პროფ. ზაღუვენთან. ის ნორმალური ანატომიის კათედრის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწე იყო. ოდესის უნივერსიტეტში თავმოყრილი იყო მრავალი ეროვნების წარმომადგენლები და მას ყველა დიდ პატივს სცემდა.

ოდესის უნივერსიტეტის ანატომიური მუზეუმი დიდი რაოდენობა განსვენებულის ნაშრომიდან შესდგებოდა. „კახიანი"... „კახიანი"... „კახიანი"...—კითხულობდით დაუსრულებლად. მის ნაშრომს ეკუთვნოდა ყველაზე უფრო თვალსაჩინო და საუკეთესო პრეპარატები, მისი წიგნით სარგებლობდა ყველა სტუდენტი და ექიმი, ვისაც სურდა ანატომიის შესწავლა. 1919 წლიდან პროფ. კახიანი მოღვაწეობს თბილისის უნივერსიტეტში და ყველა ის თვისებები, რომლებიც მას ახასიათებდა ჩემი მახსოვრობის 14—15 წლის წინათ, საქართველოში საუკეთესოდ განავითარა და გაფურჩქნა; ის შეიქმნა სახელოვანი დოსტაქარი, მისთვის არავითარი ოპერაცია სიძნელეს არ წარმოადგენდა, ყველაზე უფრო ხათუთ და საშიშ ადგილსაც კი, როგორიც არის ტვინი, ის თავისუფლად მოქმედებდა.

დოსტაქარი ძალაუნებურად ღელავს ოპერაციის დროს, როდესაც მისი დანის ქვეშ მაგიდაზე ავადმყოფი წევს და გამოჯანმრთელების მაგიერ მოსალოდნელია სიცოცხლისაგან სამუდამოდ განშორება. მაგრამ პროფ. კახიანი მძიმე და მეტისმეტ რთული ოპერაციების დროსაც კი აუღელვებელ დამშვიდებით მუშაობდა, რადგან მის ცოდნას არასოდეს არ გამოეპარებოდა, რაც მის დანის ქვეშ იყო; ის ამ დროს არაჩვეულებრივი თავისუფალი და ფართო გაქანების იყო, ულოდინარობით უკან არ დაიხევდა.

ოპერაცია და ექიმობა ხომ შეძლებული კლასებისათვის იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელ მასებს ექიმობის ფართო საშუალება მისცა. პროფ. კახიანმა დოსტაქარმა და სპეცმა (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით), ქირურგია კლინიკის ჩაკეტილ კედლებიდან მასსებში, ხალხში გადიტანა, მშრომელ ხალხთან და გლეხკაცობასთან მიიტანა მან თავისი იშვიათი ცოდნა. სოფლებში სრულიად უვარგის პირობებში, სადაც ტექნიკურად მოწყობილ საოპერაციო ოთახებზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რთული ოპერაციები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. სუფთა ჰაერზე და მზეზე, საუკეთესო შედეგებით აკეთებდა ის მრავალ საინტერესო და ძნელ ოპერაციებს მისი ლოზუნგი იყო: ქირურგია მასებში, ჰაერზე და მზეზე.

დასავლეთ საქართველოს რამდენი დაავადებული ორგანიზმი უცდიდა გაზაფხულისათვის ნ. კახიანის გამოცდილ ხელს? რა თავზარდამცემი იქნება მათთვის 15-ს ღამით მომხდარი ამბავი?

მას ბინაზე აქ და დასავლეთ საქართველოს სოფლებში ზაფხულობით დაავადებული ხალხი ბუზებივით ირეოდა. ის იყო ნამდვილი მკურნალი და ხალხის უსაზღვრო მოყვარული, ანგარება მისი ბუნების გარეშე იყო. მან არა ერთხელ მიუცია ავადმყოფისათვის წამლის ფულიც კი.

ამ მცირე ხნის განმავლობაში თბილისის ახალგაზრდა უნივერსიტეტმა დაჰკარგა თვალსაჩინო მოღვაწენი: პროფ. მელიქიშვილი, გოგიტიძე და ინჟ. ლეჟავა, უნივერსიტეტის არსებობის ათი წლისთავზე კი პროფ. ნ. კახიანი. რა მძიმე დანაკლისია!

მშვიდობით იშვიათო ადამიანო!

პლ. შუშანია

პროფ. კახიანის ხსოვნას

ჩვენ არა ვსურს გადამეტებული მრავალსიტყვიანი ფრაზებით დავიწყოთ და დავამთავროთ ეს გამოსასალმებელი წერილი. ჩვენ გვინდა ვსთქვათ მხოლოდ თუ როგორ იმოქმედა რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებზე პროფ. კახიანის გარდაცვალების ცნობამ.

16 თებერვალს დილით, ხუთშაბათს, შეიქნა განყოფილებაში მითქმა-მოთქმა. ყველა ლაპარაკობდა პროფესორის მძიმე ავადმყოფობის შესახებ—ეს მანამ სანამდის ერთი მათგანი გადმოშლიდა გაზეთის ფურცლის და ელდა ნაცემივით წამოიძახებდა: ამხანაგებო, პროფესორი უკვე გარდაიცვალაო. ამ ცნობამ საგრძნობლად იმოქმედა მთელ მუშა-მოსამსახურეებზე და ელვის სისწრაფით მოიცვა ის მთელ განყოფილებების თანამშრომლებს. ეს წუთები იყო ნამდვილი გლოვა, გლოვა ყველაზე განურჩევლად ეროვნებისა იმ ადამიანის დაკარგვის გამო, რომელმაც არა ერთი და ორი, არამედ მრავალი რკინის გზის მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახების წევრები იხსნა სიკვდილის ბრჭყალებიდან.

გაისმის კითხვები: ნუ თუ არ შეიძლებოდა მისი გადარჩენა, მაგრამ კითხვები უპასუხოდ რჩება. ყველას თვალებში ამოიკითხავდით ღრმა მწუხარებას იმ ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება მშრომელი ხალხის სამსახურს მოახმარა და რომელმაც არა ერთი მუშაკი აღზარდა.

აღსანიშნავია განსვენებულის ადამიანური, ამხანაგური მოპყრობა და გულშემატკივრობა ყველასადმი. გვახსოვს ღამის 2, 3, 4 საათზე ის გასდგომია გზას ავადმყოფისაკენ,—რომლის გულისათვის უძილო ღამეები გაუტარებია. ზედმეტი იყო მასთან ლაპარაკი რაიმე გასამრჯელოზე. ასეთი უანგარო, ასეთი გულითადი ადამიანი დავკარგეთ და ვწუხვართ. ასევე მძიმეა ეს დანაკლისი რკინის გზელ მუშა-სტუდენტებისათვის, რომლებმაც მისი სახით დაჰკარგეს შესანიშნავი მასწავლებელი, მეგობარი და დამრიგებელი.

ვსწერთ ამას და თვალები ცრემლებით გვევსება, თავს ვიხრით მის პატივსაცემად და ვაცხადებთ, რომ პროფ. კახიანის სახელი უკვდავი იქნება რკინის გზის პროლეტარიატის ხსოვნაში.

ამიერ-კავკასიის რკინიგზელების გამგეობას კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრები: ბერიონი, ივ. დოლიძე.

პროფ. ნ. კახიანის ხსოვნას

15 თებერვალი უკულმართი დღე გათენდა რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეებისათვის. დაუნდობელმა სიკვდილმა ამ დღეს ხელიდან გამოგვგლიჯა ჩვენი პროლეტარიატის ჯანმრთელობის საუკეთესო დარაჯი პროფ. ნ. ხ. კახიანი.

ჩვენ მიზანს არ შეადგენს საზოგადოების ფართო მასას გავაცნოთ მისი პიროვნება, რადგან პროფ. კახიანს ისედაც საკმაოდ იცნობენ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი დაკარგვით ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი ბუმბერაზი პიროვნება, როგორც მეცნიერი ისე ამხანაგი და მუშაკი. მისი თბილი მოპყრობა ავადმყოფებისადმი, მისი ტკბილი სიტყვები სწორედ რომ სიცოცხლის მომცემი იყო, რასაც რკინისგზელები დიდხანს ვერ გავიგონებთ. ვისაც ჰქონია შემთხვევა მის კლინიკაში მკურნალობის—მისთვის ეს ადვილი წარმოსადგენია.

ჩვენ დავკარგეთ ისეთი ადამიანი, რომლის შემცვლელი აღარ გვყავს და ეს მეტად ძნელი ასატანი ხდება ჩვენი მუშა-მოსამსახურეებისათვის. როგორც მეცნიერი და მასწავლებელი შეუდარებელი პიროვნება იყო, კერძოდ რკინის გზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებმა დავკარგეთ საუკეთესო მასწავლებელი, ამხანაგი და მუშაკი, რომელიც ჭირშიც და ლხინშიც ჩვენთან იყო. ის ჩვენთვის საუკეთესო იმედი იყო, ჩვენ მისგან ყოველ წუთში შეგვეძლო საჭირო რჩევა-დარიგების მიღება, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა ის მოგვტაცა.

ძნელია ყოველივე ამ ღვაწლის აღწერა, რომელიც პროფ. კახიანს მიუძღვის რკინის გზელების შორის. რკინის გზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებს უკანასკნელად ეღა დაგვრჩენია უთხრათ ჩვენ ძვირფას მასწავლებელს და ამხანაგს: „თქვენ განისვენეთ ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, მაგრამ თქვენი ყოველივე ხსოვნა მუდამ წარუშლელი დარჩება ჩვენში".

ვანო ეზიაშვილი.

(რკ. გზ. საავადმყოფოს ადგილკომიდან).

მის ხსოვნას

მას, ვისმეს რაიმე საქმე ჰქონდა განსვენებულთან, ადვილად შეუძლია სთქვას, თუ ვინ დავკარგეთ ჩვენ პროფესორ კახიანის სახით. დავკარგეთ მეცნიერი, რომელიც ჯერ კიდევ დიდ შესაძლებლობათა მქონე იყო, რომელიც თვითეულ რთულსა თუ უბრალო ოპერაციაში ხედავდა არა მარტო ტეხნიკას ოპერაციისას, არამედ ეძებდა მასში ახალს რაიმეს მეცნიერებისათვის, დავკარგეთ ავადმყოფებისა და სნეულთათვის გულკეთილი და იშვიათი მეგობარი—ექიმი, რომლის მომზიდველი ბაასი მოქმედებდა ავადმყოფებზე უებარ წამალთან ერთად. დავკარგეთ ადამიანი, რომელიც ექიმობდა არა ფულისთვის, არამედ მეცნიერებისათვის და ავადმყოფთათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდანვე ის კი არ განუდგა მშრომელ ხალხს, არამედ ამოუდგა მას გვერდში და ხშირად ვუნახავთ ის ქალაქ თბილისის მუშათა განაპირა რაიონებში ფეხით მოხიარულე მუშების ბინებზე ავადმყოფთა გასასინჯავად ღამითაც კი.

მე, როგორც მისი ერთი უმძიმეს ავადმყოფთაგანი და გადარჩენილი ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ მხოლოდ მის მიერ, სავსებით შემიძლია გამოვსთქვა ჩემი ყოველი ავადმყოფთა აზრი, რომ ჩვენ დავკარგეთ მშრომელთა ხალხის ნამდვილი შვილი. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ პროფესორ კახიანის მოწაფეთა და მის ხელქვეით მომუშავე ექიმთა შორის გამოვა ისეთი, რომელიც განაგრძობს მის მიერ აღებულ ხაზს და მით მშრომელ ხალხს ნაწილობრივად მაინც შეუმსუბუქებს ამ დიდი დანაკლისით გამოწვეულ მწუხარებას.

იასე კალანდაძე.

დამკრძალავი კომიტეტი

შესდგა პროფ. ნ. კახიანის დამკრძალავი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ექ. ფრანგულიანი (ჯანმრთელობის კომისარიატიდან), განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი, ბ. მაჩაიძე (პროფკავშირიდან), სულავა (ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტიდან), ი. მამულია (თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებიდან), ექ. ლამბარაშვილი (რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებიდან), ერთი წარმომადგენელი სახ. უნივერსიტეტის რექტორატიდან, სახ. უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტიდან—პროფ. მუჯავარიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენელი—ს. კიკაბიძე.

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ, საღამოს 6 ნახევ. საათზე განსვენებულის ბინაზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება აგრეთვე დღეს, საღამოს 7 საათზე; განსვენებულის ბინაზე.

ცხედრის გადასვენება

ხვალ, 18 თებერვალს, საღამოს 5 საათზე განსვენებულის ცხედარი საკუთარ ბინიდან გადასვენებული იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, სადაც ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

დაკრძალვა

კვირას, 19 თებერვალს, დღის სრულ 12 საათზე სახ. უნივერსიტეტის მთავარ შენობაშივე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი, 1 საათზე მოხდება ცხედრის გამოსვენება. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

მუშათა ცხოვრება

შაბათს, 18 თებერვალს, მოეწყობა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ფართე ექსკურსია წითელი არმიის ნაწილების დასათვალიერებლად. „კომუნისტი"-ს ყველა მუშკორები, ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ გაზ. „წითელი არმიელი"-ს რედაქციის ბინაზე, (კეცხოველის ქ. № 3) დღის სრულ 3 საათზე.

ვაჭრები ატარებენ „რაციონალიზაციას".

თბილისში არსებობს სატრაქტირო დარგის ვაჭრობის მწარმოებელთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების ბიურო. ბიურო აერთიანებს თბილისში არსებულ კერძო სასადილოების მეპატრონეებს, რომლებსაც ყავთ თავისი გამგეობა და მათივე წრიდან არჩეული თავმჯდომარე ვინმე ხაზაიშვილი.

თანახმად არსებული წესდებისა, კერძო სასადილოების მეპატრონეებს უნდა ეწარმოებინათ მათი დღიური შემოსავალ-გასავლის წიგნები. ამ წიგნებზე მუშაობდნენ დაქირავებული ბუხჰალტრები, რომლებიც უკანასკნელად მათ მოხსნეს სამსახურიდან, როგორც ზედმეტი თანამდებობა.

ამის შესახებ ადგილკომმა მიიღო სათანადო ზომები და გაუგზავნა მიმართვა ბიუროს, რათა უკანონოდ მოხსნილი პირები დაეშვათ თავის სამუშაოებზე. შინა-ვაჭრობის კომისარიატიდანაც მიიღეს ცნობა, რომ წიგნების წარმოება სავალდებულოა და მოთხოვნა თვალყურის დევნება გადაეცა აღმასკომს. მაგრამ ვაჭართა გამგეობა მაინც არავის ემორჩილება და ისევ თავისებურად მოქმედობს. მას არ უნდა აღადგინოს სამსახურში დათხოვნილი ბუხჰალტრები.

გამგეობაში შედიან სასადილო „ეიზნი"-ს პატრონი კობახიძე, „ელდორადო"-ს პატრონი ციმაკიძე, „ნადკვერო"-დან კერესელიძე და კიდევ ორი სხვა. აი ეს ვაჟბატონები, გაურბიან საერთო კანონს და თავისუფლად თარეშობენ, ხსნიან თანამშრომლებს, როგორც მათ სურთ, არ ემორჩილებიან არც განკარგულებებს, არც შრომის კანონებს და პროფორგანოებს. ეს საქმე გადაეცა შრომის სასამართლოს, რომელიც იმედია გამოიტანს ღირსეულ განაჩენს.

მარნელი.

გაგვიწიეთ ხელმძღვანელობა
(მე-6 სტამბა)

ამ ბოლო ხანებში პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბაში გაცხოველდა ყოველგვარი მუშაობა. მუშების უმრავლესობა დიდ აქტივობას იჩენს და ებმება ადგილობრივ თავისუფალ საზოგადოების მუშაობაში. სტამბაში არსებობს რუპქლები, საშეფო, ავიაქიმის და სხვა საზ-ბა. გამოდის თვიური კედლის გაზეთიც. მაგრამ გაზეთის გამოცემის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. გაზეთი გამოდის ნაბეჭდი და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ამხანაგებზე. მაგრამ შინაარსით იგი მოისუსტებს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მასში არ თანამშრომლობენ ის ამხანაგები, რომელთა მონაწილეობა აუცილებელია გაზეთის ავტორიტეტის ასაწევად. გაზეთში არ იბეჭდება ადგილობრივი პარტუჯრედის ცხოვრება, რაც გაზეთს უკარგავს მნიშვნელობას და უსპობს მუშაობის ხალისს უპარტიო ამხანაგებსაც.

გარდა ამისა ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს გაზეთში მოთავსებულ წერილებს. თვით სარედაქციო კოლეგიასაც არა აქვს კავშირი არც ერთ ცენტრ. გაზეთების რედაქციებთან. პარტიული ამხანაგები, რომლებიც მაგალითი უნდა იყვნენ თავიანთი მუშაობით, არ ეკარებიან კედლის გაზეთს.

საჭიროა ცენტრ. გაზეთების რედაქციებმა ჩვენ გაზეთსაც მიაქციონ ყურადღება და გაუწიონ მას სათანადო ხელმძღვანელობა.

X.

პრეზიდიუმმა უნდა გაითვალისწინოს
(მუშფაკი)

გასულ სასწავლო წლის ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკში აკადემიური წმენდის დროს, წმენდაში უმთავრესად მუშები მოჰყვნენ. ზოგიერთები ამას იმით ხსნიან, რომ თითქოს მუშები ვერ სწავლობენ კარგად, ვერ ითვისებენ საგანს და სხვა. მაგრამ ეს ასე არ არის. მუშები სწავლობენ, მაგრამ ვერ ეწევიან მათ, ვისაც დამთავრებული აქვს შვიდწლედი და ეხლა მუშფაკში სწავლობენ. ასეთები კი ჩვენს მუშფაკში ძალიან ბევრია. განსაკუთრებით უკანასკნელი სასწავლო წლის დასაწყისში ბევრნი შემოიპარნენ ასეთები.

პრეზიდიუმმა უნდა გაითვალისწინოს ეს მდგომარეობა ამჟამად მიმდინარე წრეების დროს და მუშების ინტერესები მეტად დაიცვას, ვინემ 7 წლედ დამთავრებულების, რომლებიც მხოლოდ დიპლომის მისაღებათ არიან შემოსული მუშფაკში.

მუშკორი 11.

სამკითხველო ნადგურდება

შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო თანდათან ნადგურდება. მას თითქმის არავინ ყურადღებას არ აქცევს. წიგნები იკარგება. უკანასკნელად დაიკარგა არტ. ლეისტის „საქართველოს გული", ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე", გორკის „სოციალიზმის ისტორია" და მრავალი სხვა. წესრიგზე ხომ არც ღირს ლაპარაკი. სამკითხველოს თანამშრომლები, როდესაც ესაუბრებიან მაშინ მობრძანდებიან სამსახურში. არც სისუფთავეა დაცული სამკითხველოში.

გარდა ამისა, ყოველდღე, დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე გამუდმებით ცეცხლი უნთიათ. სწვავენ აუარებელ შეშას, მაგრამ სამკითხველოს მაინც ვერ ათბობენ. დილით თანამშრომლები კერძოდ აყვანილი მოწაფეების ამაცადნენ, საღამოთი კი ტექნიკური თანამშრომელი თავისი ძმა-ბიჭებით, ამჟღერებით თავს იყრიან სამკითხველოში, ხან მასხარობენ, ლაყბობენ, ზღაპრებს ჰყვებიან და ხან კი რას არ სჩადიან ვინ იცის.

განა ის შეშა, რომელიც იწვის არასამუშაო დროის განმავლობაში და სინათლე, ფული არა ღირს? რატომ არავინ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას. სამკითხველოს გამგემ და ალბად განათლების განყოფილებამაც იცის ეს ყოველივე, მაგრამ რატომღაც სდუმან.

ჩვენ ვურჩევთ თბილისის განათლების განყოფილებას სანამ გვიან არ არის, ამოიღოს ხმა და მიიღოს ზომები სამკითხველოს განადგურების თავიდან ასაცილებლად.

ლ. ობოლი.

მუშკორთა წერილებიდან

წესრიგის დამცველი ხულიგნობს. (ფოთი). 2 თებერვალს, ფოთის მუშათა კლუბში, მილიციელმა მიმინოშვილმა სრულიად უმიზეზოდ აუტეხა ჩხუბი და უშვერი სიტყვებით, ლანძღვა-გინებით მიმართა კლუბთან არსებულ სატირის წრის წევრს, ამხ. ხოშტარიას. მიმინოშვილმა საქმედაც იწია ხოშტარიაზე. მილიციის უფროსმა პასუხი უნდა მოსთხოვოს ხულიგან მილიციელს.

ბარუხ.

გაცხრილეთ მეცხრილე. ტრამვაის მოძრაობის მეცხრილეს მოქ. ლითანოვს გაცხრილვა ესაჭიროება. ის მუშებს ძალიან უხეშად და უდიერად ეპყრობა. 14 თებერვალს მასთან შევიდა მოძრაობის დარგის მუშა კუკავა ცნობის მისაღებად, მაგრამ მოქ. ლითანოვმა ყვირილით გამოაგდო გარეთ და მიაყოლა კარები. ტრამვაის დირექციამ, გაცხრილოს ასეთი მეცხრილე.

მარიუპოლსკიელი.

მორიგი მიღწევა. (შავი ზღვის რკ. გზა). სადგურ ზუგდიდში გაიხსნა სასწავლებელი სადგურის მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის. სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვი ყოველდღე იზრდება. მუშები კმაყოფილებას გამოსთქვამენ სასწავლებლის გახსნით.

ნ. შერიშია.

გასუფთავეთ ქუჩა. შემახის ქუჩაზე აუტანელი უსუფთაობაა. ქვაფენილი ძალზე დაზიანებულია და რამოდენიმე ალაგას ორმოებია გაჩენილი. გარდა ამისა ამ ქუჩაზე ეზოდებიან ყრილს, რომლებიც ცვივა ურმებიდან და ჰქმნის გაუვალ ტალახს. აღმასკომმა, გაასუფთაოს აღნიშნული ქუჩა და შეაკეთოს.

დარჩგრული.

ბიუროკრატობენ. წყალსადენის სამმართველოს სააზღაროში ზოგიერთი თანამშრომლები ბიუროკრატიულად ეკიდებიან საქმეს. ამას წინად განყოფილებაში გამოცხადდა მოხუცებული აბონენტი, რომელმაც განაცხადა, რომ ქვითარი დაეკარგა მაქვს და მიცეს გადაიხადოს წყლის ფული. მოახლარეშეს ყურადღებაც არ მიაქცია მის თხოვნას. ასეთი შემთხვევები წყალსადენის სამმართველოს სააზღაროში ხშირია. სამმართველოს გამგემ ყურადღება უნდა მიაქციოს ამას.

აბონენტი.

ფასი დაუკლეთ. თბილისის მუშათა თეატრში უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები დადიოდნენ. მათ ხშირად არა აქვთ საშუალება გადაიხადონ თითო პალტოს შესანახი სამი შაური, მით უმეტეს, რომ ხშირად სამი-ოთხი სული მიდიან თეატრში ერთი მუშის ოჯახიდან. ამიტომ თეატრის გამგეობამ ცოტათი მაინც უნდა დაუკლოს პალტოების შესანახი ფასი.

ელ-ვარ.

ა. კ. სახკომსაბჭოში

მეტრიული სისტემის პოპულიარიზაცია

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაავალა ამიერ-კავკ. ზომა-წონის პალატას მეტრიული სისტემის პოპულიარიზაციისაკენ მიმართული მთელი მუშაობა, რომელიც სწარმოებს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. შემავალ რესპუბლიკების ეროვნულ ენებზე, გაატაროს ამ რესპუბლიკებთან შეთანხმებით; ამ უკანასკნელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამიერ-კავკ. ზომა-წონის პალატის მიერ შედგენილ ბროშიურების, ტაბლიცების და სხვ. თარგმნისათვის.

წარმომადგენლების გამოყოფა

ამიერ-კავკ. წარმომადგენლად საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სავეტერინარო კომიტეტში დაინიშნა ამიერ-კავკასიის სავეტერინარო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მაკინციანი; მის მოადგილეთ დანიშნულია ამხ. ურუსოვი.

ა.-კ. საცივრის კომიტეტის შევსება

ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა საცივრის საქმეთა ამიერ-კავკასიის კომიტეტი შევსებული იქნეს ორი წარმომადგენლით საცივრის მშენებლობაში დაინტერესებულ ორგანიზაციებიდან: საქციო საზოგადოება „ხოლოდოექსპორტ"-იდან და „არმენტორგ"-იდან.

გურიის ნავთი

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების ნავთის დამუშავების სექციაში მიღებულია გურიის ნავთიანი ადგილების საგამოკვლევო სამუშაოთა გეგმა, რომელიც დაამუშავა საკავშირო გეოლოგიურმა კომიტეტმა.

გეგმის თანახმად, მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებულ უნდა იქნეს შემდეგი სამუშაოები: 1-ლი საცდელი ჭაბურღილი, რომლის სიღრმე ამჟამად აღწევს 260 მეტრს, წლის ბოლომდე ამოღებულ უნდა იქნეს 550 მეტრის სიღრმეზე. გარდა ამისა, დაწყებული იქნება მთელი რიგი ახალი საცდელი ჭაბურღილების ამოღება ამერიკული სისტემის მანქანებით. ამასთანავე ზაფხულზე დაიწყება გეოლოგიური გამოკვლევები, რამაც საბოლოოდ უნდა დაადასტუროს, თუ რა მანძილზე ვრცელდება ომფარეთის რაიონში ნავთიანი ფენა და ან როგორია ნიადაგის დალაგების ხასიათი.

მომავალი საოპერაციო წლის განმავლობაში კი უნდა დასრულდეს ახალი საცდელი ჭაბურღილების ამოღება და მთელი რაიონის ტოპოგრაფიული აგეგმვა.

კოოპერაციის გასაძლიერებლად

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და ცალკე პროფკავშირების გამგეობებმა საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან მიიღო ცირკულიარული წერილი კოოპერაციაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ. ცირკულიარულ წერილში დაწვრილებითაა აღნიშნული, თუ როგორი უნდა იყოს პროფკავშირების მონაწილეობა კოოპერაციის გაძლიერების საქმეში.

ცირკულიარი მოუწოდებს პროფკავშირებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კოოპერაციაში გააერთიანონ მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილნი არიან კოოპერაციის გარეშე.

მცირე ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურეებს პაის შეტანის დროს უნდა მიეცეს შეღავათი საპაიო გადასახადის ნაწილ-ნაწილად გადახდის სახით.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

მეორე ტირაჟი

ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟი დანიშნულია 20 თებერვლისათვის ქალაქ ბრიანსკში.

მეორე ტირაჟში 23.300 მოგებაზე გათამაშებული იქნება 3.001.500 მანეთი. მაქსიმალური მოგება იქნება 25.000 მანეთი, ხოლო მინიმალური—100 მანეთი.

მეხუთე ტირაჟი მოხდება თბილისში

ტირაჟის ადგილების ამორჩევის დროს, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს მატერიალური შედეგებით, რომელიც მიღებულია სესხის რეალიზაციის დროს ამა თუ იმ რესპუბლიკაში ან რაიონში.

ვინაიდან ამ მხრივ ამიერ-კავკასიას უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი, საკავშირო ფინსახკომმა დაადგინა ინდუსტრიალიზაციის სესხის მეხუთე ტირაჟი, ა. წლის ნოემბერში, ჩაატაროს ა.-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის ფინსახკომს განზრახული აქვს აღნიშნული ტირაჟი ჩაატაროს თბილისში.

საქ. ცაკში

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გლეხკომების ყრილობა

საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ოფიციალური ცნობით, გლეხკომების საოლქო ყრილობა სამხრეთ-ოსეთში დამთავრდა. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ გლეხკომში აირჩიეს: ამხ. ალექსანდრე ჯატიევი, სამსონ კოზაევი, ნიკოლოზ ბერუაშვილი, მიხეილ ჩაბიევი, ილია ბესტაევი, ნიკოლოზ ხურუმოვი, ხრისტაფორე დაზაგოევი, ივანე ჩიჩოევი და გრიგოლ პუხაროვი. სრ. საქართ. გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების (გლეხკომების) ყრილობაზე დასასწრებლად სამხრეთ-ოსეთიდან დელეგატებათ აირჩია:—ნიკოლოზ ბერუაშვილი, სამსონ კოზაევი, მიხეილ ჩაბიევი, სოლომონ ხუგაევი და მიხეილ ხუბაევი.

შრომის მუზეუმში

მუზეუმის მუშაობა

შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის მუზეუმი, მისი გახსნის დღიდან (1927 წლის 20 დეკემბრიდან) 12 თებერვლამდე დაათვალიერა სულ 1.435 კაცმა. ამათგან ინდივიდუალურათ მნახველი იყო 805 კაცი ხოლო ექსკურსიებით—630 კაცი. მუზეუმში ექსკურსიებს სხვადასხვა ენებზე მოხსენებებს უკეთებდნენ და ახსნა განმარტებებს აძლევდნენ ექიმები და ინჟინრები.

მუშა-მოსამსახურენი თანდათან მეტ ინტერესს იჩენენ შრომის მუზეუმისადმი, რასაც ნათლად ამტკიცებს მუზეუმის მნახველთა რიცხვის თანდათანობითი ზრდა.

მოხსენება შრომის პირობების შესახებ

პარასკევს, 17 თებერვალს, დღის 1 საათზე ექიმი ხმალაძე შრომის მუზეუმში გააკეთებს მოხსენებას ტყიბულის მაღაროებში მომუშავეთა შრომის პირობების შესახებ, იმ მეცნიერულ-ლაბორატორიულ გამოკვლევების მიხედვით, რომელიც ექიმმა ხმალაძემ ჩაატარა ტყიბულის მაღაროებში მიმდინარე წლის იანვარში. მოხსენებაზე მოწვეული არიან პროფ. საბჭოს, სამთამადნო მუშათა პროფკავშირის, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის, საქართველოს ს. მ. უ. ს. სამთო ტრესტის, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და სახ. უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

სატუბერკულოზო ყრილობა

საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა შესდგება თბილისში 5 მაისს.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შეუდგა მზადებას ყრილობის მოსაწვევად და ყრილობის საკითხების წინასწარ დამუშავებას.

ყრილობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსებულ იქნა სპეციალური საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც თავის მხრივ გამოჰყო სამი კომისია—საორგანიზაციო, სამეცნიერო და საექსკურსიო.

ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავად გამოთხოვილია 10.000 მანეთი. ყრილობაზე საქართველოს სამეცნიერო ძალები მოხსენებებს წაიკითხავენ შემდეგ თემებზე: ჭლექის გავრცელების საკითხი საქართველოში, კლიმატო-თერაპია და ჰელიო-თერაპია (ჰაერით და მზით მკურნალობა) და სხ.

მოხსენებების წაკითხვა დავალებული აქვთ პროფ. მუხერინცკის, დოც. ექ. აბაკელიას, ექ. გოკაძეს და სხვა სამეცნიერო მუშაკებს.

საექსკურსიო კომისია ყრილობის დახურვის შემდეგ მოაწყობს ყრილობის დელეგატების ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ყრილობას დაესწრებიან საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატების და ჭლექთან მებრძოლ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რკინის გზებზე

ნავთლუღში მომხდარ დაჯახების გარშემო

სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საგზაო სატრანსპორტო განყოფილების სადგ. თბილისის ნაწილმა დაამთავრა გამოძიება 10 თებერვალს ღამით სადგ. ნავთლუღში მომხდარ დაჯახების შესახებ.

დამნაშავეებად ცნობილი არიან: ნავთლუღის უფროსი მეისრე—შურგაძე და უმცროსი მეისრე—ყვავაძე, რომლებიც დაპატიმრებული არიან.

ქრონიკა

მისალმება განათლების კომისარიატს

განათლების კომისარიატმა თელავიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „თელავის მაზრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პირველი კონფერენცია მხურვალედ მოგესალმებათ და ფიცს სდებს, რომ თელავის მაზრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლობა პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას სოფლის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ყოველმხრივ ეცდება სოფლის მეურნეობა გარდაქმნას მეცნიერულ საფუძვლებზე".

საკონსულტაციო-ტეხნიკური ბიურო

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო მოწყობილი იქნეს ამიერ-კავკ. წყალთა მეურ. სამმართველოსთან საკონსულტაციო-ტეხნიკური ბიურო, რომელიც საკონსულტაციო-ტეხნიკურ დახმარებას გაუწევს წყალთა მეურნეობის დარგში წარმოებულ ყველა სამუშაოებს.

საპაიო გადასახადის გადიდება

მუშათა კოოპერაციის ძირითადი თანხის გაძლიერებისა და საერთოდ კოოპერაციის მუშაობის გაფართოების მიზნით, მუშათა კოოპერაციის ცენტრალურმა სექციამ მუშკოოპის გამგეობას წინადადება მისცა საპაიო გადასახადი 10 მანეთიდან გაადიდოს 15 მანეთამდე.

საპაიო გადასახადის გადიდების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მცირე ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართა ინტერესები და მათთვის დაწესებული უნდა იქნეს შეღავათები.

საქონლის შეძენა

ცეკავშირმა ხელშეკრულება დასდო მოსკოვის სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობა „ლაბორხიმთან", რომლის ძალით ეს ორგანიზაცია საქართველოს კოოპერაციას მიაწოდებს თავის ნაწარმოებს.

ცეკავშირი „ლაბორხიმი"-დან მიიღებს საზამბელს, ლილას, ნიშადურს, ფეხსაცმელის საღებავებს, ვანილს, ვანილის ოხნილს, მიხაკს, ჟელატინს, ლიმონის სიმჟავეს, პროვანსის ზეთს, ლიმონის ზეთს, ხოჭის ზეთს, შავ პილპილს, სოდას, ესენციას და სხ. მიღებული საქონელი გაუნაწილდება ძირითადად სამომხმარებლო კოოპერატივებს.

თბილისის აღმასკომში

◆ **სანიტწრეები.** სანიტარული სექცია შეუდგა სანიტწრეების მოწყობას საცხოვრებელ სახლებში. დღემდე უკვე მოწყობილია 500 წრე.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **გამორიცხვა.** [illegible] დროს დაუშვებელი ქცევისათვის უნივერსიტეტიდან გამორიცხული არიან პედაგ. ფაკულტეტის სტუდენტები ოლიმპიადა ჯინორიძე და ალექსანდრა ბახტაძე.

◆ ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტს უნივერსიტეტმა გადასცა საზღვარგარეთიდან მიღებული საექიმო იარაღები, ღირებული 800 მან.

◆ უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა გერმანიაში შეიძინოს დიეტრემიული აპარატი.

◆ ასპირანტის დებულების პროექტის განსახილველად შესდგა კომისია პროფ. შ. ნუცუბიძის და პროფ. კ. კეკელიძის შემადგენლობით.

◆ კვირას, ამა-წლის 19 თებერვალს, დღის 12 საათზე—ქ. ქუთაისის, ქ. ბათომის და ქ. სოხუმის თეატრებში წაკითხული იქნება მოხსენება საქართველოს უნივერსიტეტის შესახებ. მომხსენებლები: ქ. ქუთაისში—ამხ. თ. ღლონტი; ქ. ბათომში—პროფ. კ. კეკელიძე და ქ. სოხუმში—ამხ. ვ. კანდელაკი.

კრებები და მოხსენებები

◆ საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: ნ. ბერძენიშვილი—„ათონის ალაპა დათარიღებისათვის" და პროფ. ივ. ჯავახიშვილი—„ალაპების შედგენის წესები".

◆ სახ. უნივ. გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება გეოლოგიურ ინსტიტუტის საჯარო სხდომა, რომელზედაც პროფ. ალ. ჯანელიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ნატახტარის წყაროების ჰიდროგეოლოგია".

◆ ქართულ ენის კაბინეტში (ძე-14 შრ. სკ.) შესდგება ქართული ლიტერატურის მარქსისტული სემინარის მორიგი მუშაობა.

შემთხვევები

ეტლის დაჯახება ტრამვაის ვაგონზე

გუშინ, დილით პლეხანოვის პროსპექტის და ეფრემის ქუჩის კუთხეში ტრამვაის ვაგონს (მარშრუტი მეორე, № 25) დაეჯახა ეტლი № 98, რომელსაც მართავდა მოქ. სამადუროვი. გამოირკვა, რომ დაჯახება მოხდა მეეტლის დაუდევრობით. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

მოქ. სამადუროვი დაპატიმრებულია.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ, დილით თვითმკვლელობის მიზნით მტკვარში გადავარდა ცურა არუთინის ძე ნოვაზარდოვა, 16 წლისა (მცხ. ახალ-არსენალის ქ. № 15). ნოვაზარდოვა დახრჩობას გადაარჩინეს. თავის დახრჩობის განზრახვის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

6 კაცის დაკარგვა

10-დან 15 თებერვლამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: ვაჰაგან აფეტის ძე ამბარცუმოვი, 16 წლისა; ალექსი მიტროსოვი, 23 წლისა (მცხ. წყნეთის ქ. № 6); ალექსი და კარაპეტ გრიგოლის ძე გიდოსიანცი (მცხ. წყნეთის ქ. № 9); ვანო ილიას ძე ავალიშვილი, 14 წლისა (მცხ. ბერძნის ქ. № 1) და მამიკონ ოგანესის ძე ხუნიანცი, 12 წლისა.

ხანძარი ინვალიდთა სახლში

გუშინ, დილის 10 საათზე, სასამართლოს ქუჩაზე, № 2 (მეორე სამილიციო რაიონი), მდებარე ნ. ზუბალაშვილის სახელობის ინვალიდთა სახლში გაჩნდა ხანძარი.

ცეცხლი დაიწყო ბუხრიდან, რომელიც პირველ სართულში მდებარეობს.

მცირე ხნის შემდეგ სახლის ჭერზე (მეოთხე სართული), შენიშნეს ცეცხლის ალი. ხანძრის გაჩენის შესახებ საჩქაროთ ტელეფონით აცნობეს პირველ სახანძრო რაზმს. რაზმი სწრაფად გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ მარტო ერთი რაზმი უძლური აღმოჩნდა ცეცხლის სტიქიასთან ბრძოლაში.

ღუმელის მილების ძალზე გახურების გამო ცეცხლი გაჩენია აგრეთვე მესამე სართულის ჭერს და შემდეგ მოსდებია სახურავს. ჩქარა ამოვარდა დიდი ალი, რომელიც ემუქრებოდა მთელ შენობას.

ცეცხლი ვრცელდებოდა მეტად სწრაფად.

მცირე ხნის შემდეგ გამოცხადდა აგრეთვე მეორე და მესამე ცეცხლის მქრობელი რაზმი. მათ მოსვლამდე ცეცხლი უკვე მოედო მთელ შენობას.

მდგომარეობა მეტად სახიფათო შეიქნა. საჭირო იყო გაძლიერებული ცეცხლის რკალის გარღვევა, რომ რაზმი მუშაობას შესდგომოდა, რაც რაზმელებისაგან მოითხოვდა სიმამაცეს და თავგანწირვას. რაზმელები შეიჭრნენ ცეცხლში და შეუდგნენ მის ჩაქრობას.

ცეცხლის ჩასაქრობად გამოყენებული იქნა ახალი დიდი კიბე და წყალსაქაჩავი მანქანა „მაგირუსი", რომელიც 300 ვედრო წყალს ქაჩავდა წუთში.

ასეთი თავდაუზოგავი მუშაობით ცეცხლი სამი საათის განმავლობაში სავსებით ჩაქრობილ იქნა.

აღსანიშნავია, რომ ინვალიდთა სახლის თანამშრომლები ცეცხლის გაჩენისთანავე შეუდგნენ თადარიგს. ხანძრის დროს საჭირო იყო თავდაჭერილი და დამშვიდებული მუშაობა, რომ მწოლარე ინვალიდებს არ შეშინებოდათ. მართლადაც, ინვენტარი დიდი სიფრთხილით იქნა გამოტანილი, ინვალიდები კი ისე გამოაყვანეს, რომ პანიკას სრულიად არ ჰქონია ადგილი.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ: საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. კ. ხომერიკი, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ივანოვ-კავკასკი, რესპუბლიკის მილიციის უფროსი ბ. ბერაძე, აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ს. ხმალაძე, თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი გრ. თოფურია, პროკურორი ს. გრიგოლია, გამომძიებელი ლ. ვაჩნაძე, ცეცხლისმქრობელ რაზმის უფროსი ინსპექტორი გ. შარაშიძე და ბრანდმაიორის მოადგილე ამხ. კლაჩკოვი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცეცხლის ჩაქრობას.

ხანძრის ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს და შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა.

წესრიგის დასაცავად გამოიწვიეს ჯარის ნაწილები და მილიციის თანამშრომლები.

ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ გამოირკვა, რომ ნაწილობრივად დამწვარა შენობის ზემო სახურავი და ჭერები. დაზიანებული და ჩამონგრეულია რამოდენიმე ოთახის კედლები. სერიოზულად დაზიანდა 2 ოთახი.

ცეცხლის ჩაქრობის დროს მუშაობდა 7 ცეცხლის მქრობელი მანქანა:

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ხანძრით გამოწვეული ზარალი 5.000 მანეთს აღემატება.

შესდგა სპეციალური კომისია ხანძრის გაჩენის მიზეზების და ზარალის დაწვრილებით გამოსარკვევად.

სასამართლო

„ლეგენდარული რევოლიუციონერი"

„თაგვმა თხარა, თხარა, კატა გამოთხარაო". ეს ანდაზა ზე-გამოჭრილია ნიკოლოზ ენიკოლოპოვზე.

ენიკოლოპოვი წაეკიდა საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილეს, მოსე მარკმანს.

...ამხ. მარკმანმა ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა. მან პირადი ანგარიშების გასასწორებლად შეიტანა ჩემს წინააღმდეგ ათას გვარი ჭორები და გამომრიცხა რკინისგზელთა კავშირიდან. არ დაიკარგა ჩემი რევოლიუციონური წარსული... მე ისევ კავშირის წევრი ვარ. მხოლოდ კეთილი ინებოს მარკმანმა და პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე ცილისწამებისათვის"...

საქმე შემდეგშია. ენიკოლოპოვი ითვლებოდა რკინიგზელთა პროფკავშირის წევრად. იღებდა ყოველთვიურად პენსიას, როგორც ძველი მუშა და ძველი „რევოლიუციონერი".

პროფსაბჭოში შედის განცხადება, რომ „ენიკოლოპოვი არის მესაკუთრე. აქვს საკუთარი სახლები. არ შეიძლება ის იქნეს კავშირის წევრად დატოვებული... სასტიკად ავიწროებს მდგმურებს"...

სათანადო ცნობების შეკრების შემდეგ ამხ. მარკმანმა გასცა განკარგულება ენიკოლოპოვის კავშირიდან გამორიცხვის შესახებ.

ენიკოლოპოვი გამორიცხულ იქნა კავშირიდან.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მან როგორღაც ოინებით მოახერხა ისევ შეძრომა კავშირში. შეუბრუნა კბილი მარკმანს და აღძრა საჩივარი მის, როგორც შეურაცხმყოფელ ცილისმწამებლის წინააღმდეგ.

დაიწყო საქმის გამოძიება. მარკმანმა დააგროვა საბუთები და წარუდგა სასამართლოს.

— მე, ძველ რევოლიუციონერს, ძველ ტერორისტს, რომელსაც არა ერთი და ორი წუწკი მტარვალი გამისტუმრებია საიქიოს, ეს ვიღაც ვიგინდარა მრიცხავს კავშირიდან? სად იყო მაშინ, როცა ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა?..

— მოითმინეთ, მოითმინეთ... მოგახსენებთ. თქვენი წარსულით ჩვენ დაინტერესდით და ამოვკრიფეთ ასეთი საუკეთესო ფურცლები თქვენი ისტორიიდან. — იწყებს ლაპარაკს მარკმანი.

რას ლაპარაკობენ საბუთები?

„1919 წლიდან ნიკოლოზ ენიკოლოპოვი ყოფილა სატრაქტირო დარგის ვაჭრობის მწარმოებელთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე".

საქართველოს რევოლიუციის მუზეუმი იძლევა ასეთ ცნობას:

„ენიკოლოპოვის რევოლიუციონური მოღვაწეობის შესახებ არავითარი ცნობები არ გვაქვს. პირიქით, არის ცნობები, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ მას"...

„...ვყიდი კუთვნილ წილს მემკვიდრეობით დარჩენილ ორი სახლიდან. 13 წელში ორივე სახლი შეფასებულია 80.000 მანეთად. მყიდველს ვუთმობ მდიდრულად მოწყობილ საკუთარ ბინას"... ასეთი განცხადება ენიკოლოპოვს მოთავსებული ჰქონია 26 წლის 31 იანვარს „რაბოჩაია პრავდა"-ში.

ყოფილ პოლიტკატორღელთა საზოგადოება იძლევა ასეთ ცნობას:

„ნიკოლოზ ბეჟანის ძე ენიკოლოპოვის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. არც აღრიცხვაზე გვყავს. მას არაფერი საერთო არ აქვს რევოლიუციასთან, არც ერთი გადასახლებული და კატორღელი მას არ იცნობს"...

თურმე არის კაცი, რომელიც იცნობს, ნიკოლოპოვს; როგორც ძველ რევოლიუციონერს.

ენიკოლოპოვი ყოფილა „ლეგენდარული რევოლიუციონერი",—ასე უწოდებდა თურმე, მას „ბებერი კვაჭი", ჩვენშიაც კარგად ცნობილი აფერისტი ვაინერი, რომელმაც ერთ დროს პარტიაშიაც კი შეაძვრინა თავი, მაგრამ მალე გამოაშკარავებულ იქნა.

ამხ. ი. იაროსლავსკი თავის ფელეტონში. სადაც მიწასთან ასწორებს ვაინერს, სწერს შემდეგს:

„ვინ მოჰყავს თავის ტერორისტულ აქტების მოწმეებად ვაინერს? სხვათა შორის ის ასახელებს გაურკვეველი პროფესიის კაცს, ვინმე ენიკოლოპოვს. თურმე, 25 წლის შემდეგ ვაინერი ხვდება ამ „ლეგენდარულ" რევოლიუციონერს თბილისში. მათ იციან ერთმანეთი. ენიკოლოპოვი ამოწმებს ვაინერის რევოლიუციონურ წარსულს. ენიკოლოპოვის რევოლიუციონურ წარსულს ვინღა ამოწმებს? ალბად, ვაინერი.... მელა კუდს იმოწმებს, „კუდი"—მელას"...

ასეთი საბუთების განხილვის შემდეგ სასამართლომ მოხსნა ამხ. მარკმანს ბრალდება ცილისწამებაში და გამოიტანა დასკვნა, რომ მარკმანი სავსებით კანონიერად მოქცეულა, როცა ენიკოლოპოვის კავშირიდან გარიცხვის შესახებ განკარგულება გაუგზავნია რკინისგზელთა კავშირისათვის.

გერ.

როგორ „იკარგებიან" ბავშვები

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა იწვევს ბავშვების „დაკარგვის" შემთხვევებს, თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილემ შ. ჩელიძემ უპასუხა;

უკანასკნელ ხანებში თბილისში საგრძნობლად გახშირდა მოქალაქეთა დაკარგვის შემთხვევები. დაკარგულთა რიცხვში უმთავრესად სჭარბობენ მცირეწლოვანები. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში იყო აგრეთვე ქალების დაკარგვის შემთხვევებიც. თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო ზომები იმის გამოსარკვევად, თუ რით არის გამოწვეული ეს მოვლენა. გამოძიებით გამოირკვა, რომ ბავშვების გატაცებას ადგილი არ ჰქონია: ბავშვები თვით გადიან სახლიდან. ისინი მიდიან საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში. განსაკუთრებით ეტანებიან ბავშვები ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებს. მათი უმრავლესობის სურვილია მოხვდნენ აგრეთვე ამერიკაში, სადაც მათი თქმით, ადვილად შეიძლება „დიდ კაცად" გახდომა.

დაბრუნებულ ბავშვების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ სახლიდან გაპარვის შემდეგ ბავშვები ითმენენ სიმშილს და დიდ გაჭირვებაში ვარდებიან. აღმზრდელობითი თვალსაზრისით ამ არანორმალურ მოვლენას ცუდი შედეგები მოაქვს გაპარული ბავშვებისათვის. სიმშილი და გაჭირვება მათ აიძულებენ კავშირი დაიჭირონ ქურდ-რეციდივისტებთან. ეს უკანასკნელები სარგებლობენ ამ გარემოებით და ეწევიან ბავშვების ექსპლოატაციას.

არის შემთხვევები, როცა ბავშვები მშობლების მეთვალყურეობის გარეშე მთელი დღის განმავლობაში დაეხეტებიან ქუჩაში და ექცევიან მოხეტიალე ბავშვების გავლენის ქვეშ და უკანასკნელთა წაქეზებით აღარ ბრუნდებიან სახლში.

როგორც გამოძიების მასალებიდან სჩანს, გაპარული ბავშვების ნაწილი ხშირად ბრუნდება სახლში „იმედგაცრუებული", ნაწილი კი ხდება „დიდ კაცად" გახდომის სურვილის მსხვერპლი და იღუპება უბედური შემთხვევების გამო.

დადასტურებულია, რომ ბავშვებს უმთავრესად იტაცებს ამერიკული კინო-სურათები და ხშირად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მათი სურვილია მოხვდნენ ამერიკაში.

სისხლის სამართლის მილიცია ებრძვის ამ მავნე მოვლენას, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა შრომის სკოლების ხელმძღვანელებმა მოწაფეთა შორის ჩაატარონ სათანადო კამპანია ამ მავნე გატაცების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, თვით მშობლებმაც უნდა იზრუნონ თავიანთ ბავშვებზე და მისცენ მათ სათანადო რჩევა-დარიგება.

რაც შეეხება მოზრდილთა „დაკარგვას"—ეს ხდება ამნაირად: ისინი რამოდენიმე დღით მიდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მშობლებისა და ნათესავების დაუკითხავად და შემდეგ ბრუნდებიან უკანვე.

ხელოვნება

ა. გველესიანის სიმფონიური კონცერტი

ა. გველესიანის სიმფონიურ კონცერტს, რომელიც ამ დღეებში შესდგა, ახასიათებს მოფიქრებით შედგენილი სერიოზული პროგრამა. მაჩვენებელი ევოლიუციისა მუსიკალურ შემოქმედებაში და მისი მისწრაფებისა ახალ ჰარმონიის და ფორმებისაკენ. პროგრამის შინაარსი ამტკიცებს, რომ ა. გველესიანის მუსიკალური განვითარების და საერთო კულტუროსნობა განიცდის წინმსვლელობას და მისგან მოსალოდნელია დიდი მიღწევები სალოტბარო შემოქმედებაში. პროგრამა აგრეთვე გამომხატველია ა. გველესიანის გამბედაობისა, ვინაიდან მისი შესრულება წარმოადგენს დიდ სიძნელეს ძველ და გამოჩენილ ლოტბარებისათვისაც კი.

კლასიკურ მიმართულების წარმომადგენლებათ პროგრამაში შევიდნენ ლისტი (ტორკვატო ტასსოს ტრიუმფი), სენ-სანსი (შესავალი „წარღვნის" ორატორიასთან) და რიხარდ ვაგნერი თავის სამგლოვიარო ილიუსტრაციით ოპერიდან „ღმერთების დაქცევა". სპილენძის ჯგუფის ხმოვანების დინამიური ზრდა არ არის „ტორკვატო ტასსო"-ში კარგად მიზანშეწონილი და პარტიტურაში გათვალისწინებულ სიმძლავრის, და არა ძლიერ ხმაურობის, შთაბეჭდილების მიღწევა მოითხოვს ლოტბარისაგან სპილენძის ჯგუფის დიდი სიფრთხილით მოხმარებას; ყოველი მისი ფრაზა უნდა იქნეს შეუმჩნევლად მისუსტებული, რომ მას პასუხი გასცეს დანარჩენმა ორკესტრმა, რასაც კონცერტის დროს ადგილი არა ჰქონია. ვაგნერის და სენ-სანსის თხზულებანი კი შესრულებული იყვნენ სრულის შეგნებით და მხატვრული გამომეტყველებით. კონცერტის საუკეთესოდ დამუშავებულ ნაწილათ ჩაითვლება მისი მეორე ნაწილი, წარმოდგენილი კომპოზიტორ გუსტავ მალერის სახით. უკანასკნელი არ სწყვეტავს თავის კავშირს კლასიკოსებთან, სარგებლობს მათი მიღწევებით და იმავე დროს მიისწრაფვის მუსიკალური ჰარმონიის და ფორმების განახლებისაკენ ისე, რომ სდგას საზღვარზე ახალი და ძველი მუსიკის შორის. მისი მეორე სიმფონიის პირველი ნაწილის (ალლეგრო მაესტოზო) ოსტატური შესრულება ყოველ ეჭვს გარეშე ჩაითვლება ა. გველესიანის მხატვრულ გამარჯვებად, ვინაიდან ამ ნაწილის ბგერათა მიმდინარეობა ინსტრუმენტალობაში ფრიად რთულია, სხვადასხვა ხასიათის და გამომეტყველების მატარებელია და მათი გამოცალკევებას, იმავე დროს საერთო სიმძლავრის შენახვას სჭირდება დიდი ოსტატობა. ამ სიმფონიის მეორე, ზღაპრული მშვენიერებით გაჟღენთილი ნაწილი (ანდანტე) არ წარმოადგენს ზედმეტად სიძნელეს, მაგრამ მოითხოვს ინსტრუმენტების ბგერათა გამომეტყველების შეკავშირებას, და ამ მეორე ნაწილშიც ა. გველესიანი ჩაითვლება გამარჯვებულად. გუსტავ მალერის სასიმღერო ნიმუშებიდან კარგად იყო შესრულებული ორკესტრის მიერ სიმღერა „შემოყვარე", ძალიან კარგად—„ვარდები" და უფრო სუსტად დანარჩენი ორი სიმღერა.

პროგრამის მე-3 ნაწილი შეიცავდა მხოლოდ ახალ მუსიკის გარკვეულ ნიმუშებს. ამ ნაწილიდან უფრო ეხერხება ა. გველესიანს კომპოზიტორ მ. რაველის მისწრაფებათა გამოსახვა („სახრჩობელა") და ს. პროკოფიევის მიერ განზრახულ ხმაურობაში შთაბეჭდილების მოხდენა [illegible] საშუალებით. ი. სტრავინსკის შვიდხმოვანი მინიატიურები კი, მიუხედავად გველესიანის მიერ მათი დაწვრილებითი ტექნიკურ შემუშავებისა, ვერ სტოვებენ საჭირო შთაბეჭდილებას. ამ მინიატიურების რიცხვიდან უფრო კარგად იყო შესრულებული „ჯარისკაცის ისტორია" და „მეფის მარში"; სხვებში კი, მეტადრე „ვალს"-ში ავტორის მიზანი დარჩა ბუნდოვანად.

ამ კონცერტის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მსმენელთა საერთო კმაყოფილებით. ჩვენის აზრით, მას აქვს ნამდვილი აკადემიური ხასიათი, იგი წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდა და ნიჭიერ მუსიკოსების პირველ ნაბიჯს ენციკლოპედიურ განვითარებისაკენ, თანამედროვე მოთხოვნილებებთან სრული ანგარიშის გაწევით. ამის დამამტკიცებელია ის აუარებელი შრომა, რომელიც ეჭვს გარეშე დახარჯული იყო ა. გველესიანის მიერ, როგორც თავისი ისე ორკესტრის მოსამზადებლად. ეს შრომა სჩანდა იმ სრულ მორჩილებაში ლოტბარისადმი, რომელიც გამოიჩინა ორკესტრმა კონცერტის დროს. თანამედროვე მუსიკის სრული შეგნება ეტყობოდა აგრეთვე ნიჭიერ იონა ტუსკიას „მარშს", რომელიც პროგრამის გარეშე იქნა ორკესტრის მიერ შესრულებული. საერთოდ კონცერტი იყო მშვენიერი და თავის პროგრამით და დამზადებით ჩაითვლება საუკეთესოდ ამ სეზონში.

კოტე მელქისეთ—უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

ლევ ტოლსტოის იუბილეისთვის

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოყო ლევ ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის იუბილეს მომწყობი კომისია, რომელშიაც შედიან: ს. თოდრია, გრ. რობაქიძე, დ. კლდიაშვილი, ტიციან ტაბიძე, პავ. ინგოროყვა, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, გერ. ქიქოძე, ნინო ნაკაშიძე, ბენ. ბუაჩიძე, კონსტ. ლორთქიფანიძე, სვ. ჩიქოვანი და დემნა შენგელაია.

„ქეთო და კოტე"

შაბათს, 18 თებერვალს, სახელმწ. ოპერაში პირველად ამ სეზონში დაიდგმება ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე".

აღნიშნული ოპერა დიდი წარმატებით მიდიოდა რუსულ ენაზე მოსკოვში და ბაქოში. ავტორმა შეაკეთა ოპერა. მეორე აქტში ჩაამატა კოტეს რომანსი. ოპერა ახალი ტექსტით ამჟამად ითარგმნება თურქულ ენაზე.

„ქეთო და კოტე"-ში მონაწილეობენ: ბლანკმანი, მაყაშვილი, ვენაძე, შარაშიძე, კვესაძე და სხ.

დისპუტი კინოზე

კვირას, 19 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყველა სექციების გაერთიანებული საჯარო სხდომა, რომელზედაც გაიმართება დისპუტი კინო-საკითხებზე. ამხ. ვ. სუტირინი მოხსენებას გააკეთებს თემაზე—„საბჭოთა კინო და პროლეტარული მწერლობის ამოცანები".

კამათში მოწვეულნი არიან: ამხანაგები ს. არუსტანოვი, ბ. ბუაჩიძე, შ. დუდუჩავა, გ. კრეიტანი, კ. მარჯანიშვილი, ვ. მაჭავარიანი, ქ. მეგრელიძე, ვ. ლუარსაბიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ბ. ჟღენტი, დ. რონდელი, გ. რობაქიძე, ა. შუმბაძე, ტ. ტაბიძე, ტატულოვი, ს. ჩიქოვანი, მ. ჯავახიშვილი და სხვები.

მაქსიმ გორკის 35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად

მაქსიმ გორკის 35 წლის იუბილეს მოსაწყობად მწერალთა კავშირმა შეადგინა კომისია, რომელშიაც შედიან:

ს. თოდრია, დ. კლდიაშვილი, ალ. აბაშელი, ტიციან ტაბიძე, მიხ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, ვახ. კოტეტიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, კონსტ. ლორთქიფანიძე, ბეს. ჟღენტი. იუბილეს მოწყობა შეფარდებული იქნება მ. გორკის რუსეთში ჩამოსვლასთან.

◆ „თაისი". დღეს ოპერის თეატრში მირა ელიავას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „თაისი".

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება ახალგაზრდათა დიდი საღამო.

◆ მუშათა თეატრში რუსულ ენაზე დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ დისპუტი თეატრზე. 19 თებერვალს წითელარმიელთა კლუბში გაიმართება დისპუტი თანამედროვე თეატრზე. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ რეჟისორები, მსახიობები, მწერლები, მხატვრები და სხ. დისპუტზე აგრეთვე გამოვა „რღვევა"-ს ავტორი ლავრენევი.

ხელოვნების ქრონიკა

= პარასკევს, 17 თებერვალს, ხელოვნების სასახლეში მწერალთა კავშირის მორიგ სხდომაზე სიმონ ჩიქოვანი წაიკითხავს მოხსენებას ახალ პროზის შესახებ. მოხსენების შემდეგ კამათი. შესვლა უფასოა.

ფეხბურთი

„დინამო—ა"—„გემო-კვების მუშაკები"

კვირას, 19 თებერვალს, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება საინტერესო ამხანაგური შეჯიბრი „დინამო-პირველს" და გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირის გუნდს შორის.

ეს უკანასკნელი ეხლახან ჩამოყალიბდა. მასში შედიან უმთავრესად ყოფ. „ორსხიონი"-ს მოთამაშეები და რამოდენიმე პირველხარისხოვანი მოთამაშე სხვა გუნდებიდან.

გემო-კვების მუშაკების გუნდი მონაწილეობას მიიღებს გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში.

„დინამო"-ს მხრიდან თამაშობენ: ზალდოევი, ფოჩხუა, ბლანკმანი; ფრუიძე; ჟორდანია; ფეოდოროვი; ქოიავა; ფანულია; რ. მდივანი; ვაჩნაძე და ქებაძე.

სათადარიგო მოთამაშეები: გუნია და ელ. ცომაია.

მატჩი დაიწყება დღის 12 საათზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 17 თებერვალს, სამუშაოზე იგზავნება შემდეგი უმუშევრები: კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ხაჩატურ გულბაგიანი, ჩიბუხიანცი, აველის თუჯიანცი, პავლე ანგელოვი და ვაგან აბაზიანი; გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ქსენია ნიკიფოროვი, ნადეჟდა საბლინა; შავ მუშათა მესამე სექციიდან: ვასილ კავალევსკი, ლეონ დავიდოვი, დათიკო გაფიშვილი, გიორგი თავდიშვილი, თეიმურაზ თავდიშვილი, იაკობ კაბლიშვილი, სურენ ცატუროვი, გარეგინ სააკოვი და სოლომონ ლეკიშვილი; მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: მინას სარიბეკოვი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 17 თებერვალი

დღეს, 17 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სახალხო სესხის პოპულიარიზაციის და რეალიზაციის საქმეში—ქართულ ენაზე.
საუბარი: მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.
საერთაშორისო მდგომარეობა—თურქულ ენაზე.
საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.
შენახველი სალაროების მნიშვნელობა—ქართულ ენაზე.
რა სთქვა საკავშირო კომ. პარ. (ბ) მე-15 ყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ—სომხურ ენაზე.
კომკავშირის გაზეთი—ქართულ ენაზე.
ოპერა „ტაის"-ის ტრანსლიაცია.
ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.
ტეხნიკური კონსულტაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.
ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა, უჯრედების ბიუროების წევრებისა და მდივნების, ფაბრქარხადგილკომების ფრაქციების, სამეურნეო მუშაკების—კომუნისტებისა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ფრაქციების მონაწილეობით.

დღის წესრიგში: ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარის ამხ. ბეჟანიანის მოხსენება—საექსპორტო პოლიტიკის შესახებ და დამზადებათა მოხსენება.

სახ.-სამ. საზოგადოების დარბაზში, კვირას, 19 თებერვალს, საღამოს 7 საათზე შესდგება სახ. უნივერ. აგრ. ფაკულტეტის კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედებთან არსებულ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ირ. აბესაშვილი: „სოფლის განვითარების გზები კაპიტალიზმისა და პროლეტარულ დიქტატურის პირობებში".

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 15 თებერვალს, ღამის 9 საათსა და 20 წუთზე ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

ნ. 620 3—2

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იუწყება, რომ 15 თებერვალს გარდაიცვალა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მეცნიერული საბჭოს წევრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. ნ. 624

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 15 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

ნ. 625

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი იუწყება ქირურგიულ პროპედევტიულ კლინიკის დირექტორის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ გარდაცვალებას

რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველო ულრმესი მწუხარებით იუწყება რკინის გზის საავადმყოფოს ქირირგიული განყოფილების გამგის, გამოჩენილ დოსტაქრის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

გარდაცვალებას. 1463

თბილისის უბნის რკინისგზელთა პროფკავშირი აუწყებს თბილისის უბნის რკინისგზელ კავშ. წევრებს რკინის გზის მთავარ საავადმყოფოს ხირურგის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. 1466

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ამხანაგის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანატი მწუხარებით იუწყება სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება სახლიდან (ყაზბეგის ქ. № 41 (უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 5 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე და კვირას 19 თებერ.

ტერეზი ნიკოლოზის ასული კახიანისა ბავშვებით საულე და ზაალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის და მამის.

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ გარდაცვალებას.

ცხედრის გამოსვენება სახლიდან (ყაზბეგის ქ. № 41) უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შაბათს 18 თებერვალს საღამოს 5 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 18 თებერვალს საღამოს 6 საათზე და კვირას 19 თებერვალს დღის 12 საათ. გამოსვენება იქიდანვე 19 თებერვალს დღის 1 საათზე დიდუბის პანთეონში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოპერატიული ქირურგიის კათედრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ ხელმძღვანელის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ დაკარგვას.

თავზარდაცემული პროპედევტიულ ქირურგიულ კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან საყვარელ ხელმძღვანელის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ დაკარგვას.

თბილისის რკინის გზის საავადმყოფო თავის თანამშრომლებით გულისტკივილით და მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 15 თებერვალს, გარდაიცვალა რკინის გზის საავადმყოფოს დაუღალავი და დაუფასებელი თანამშრომელი

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანი** (შ)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა კლინიკები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

პროპედევტიული ქირურგიული კლინიკის კროფესორის

ნიკოლოზ სავლეს ძე კახიანის

გარდაცვალებას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკა გლოვით აუწყებს საზოგადოებას ბრწყინვალე მასწავლებლის, უბადლო ამხანაგის, იშვიათი ადამიანის და ცნობილი დასტაქარის

პროფ. **ნიკოლოზ კახიანის**

გარდაცვალებას. 1461

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეანო კლინიკის თანამშრომლები გულითადის მწუხარებით აცხადებენ უსაყვარლესი ამხანაგის და საუცხოვო ადამიანის

პროფ. **ნიკოლოზ კახიანის**

უდროოდ გარდაცვალებას. 1457 2—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკა დიდი მწუხარებით იუწყება თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის სამკურნ. ფაკულტ. ქირურგიულ კათედრის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

გარდაცვალებას ა. წ. 15 თებრიალს. 1476

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა უნივერსიტეტის პროფესორი—დოსტაქარი, საყვარელი მასწავლებელი და იშვიათი ადამიანი

ნიკოლოზ კახიანი

1460

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება მწუხარებით იუწყება განყოფილების კონსულტანტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ გარდაცვალებას. ნ.

ქალაქ ჯან. განყ. ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეები ულრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 15 თებერვალს, ღამის 9 საათ. 20 წუთზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი ადამიანი, უძვირფასესი თანამშრომელი და ინსტიტუტის კონსულტანტი სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანი** 3—1 (ე)

ა.-კ. რკ. გზების სატრანსპორტო დამზღვევ სალაროს მუშაკნი გულითადის მწუხარებით იუწყებიან ავადმყოფების და მშრომელთა მეგობრის

პროფ. **ნ. ს. კახიანის**

უდროოთ გარდაცვალებას, ა. წ. 15 თებერვალს. 1472

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მუშაკთა კავშირის გაერთიანებული ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება თავის წევრის—იშვიათი ადამიანის, სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1468

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სტუდენტთა მედსანშრომის პროფსექცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის 15 თებერვალს, საღამოს 9 საათ. 20 წუთზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მასწავლებელი

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანი**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (შ)

გედევანიშვილის სახელობის სამკურნალოს თანამშრომელნი დიდის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანი**

1469

ეკატერინე ლევანის ასული და პროფესორი ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანი შვილებით: დოდო, გოგი და ლოლია ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელ და ძვირფას

კოლია კახიანის

უდროოდ დაკარგვას.

უდიდეს მწუხარებაში მყოფნი ბიძა გრიშა, ბიცოლა ნატალია, ბიძაშვილები—თამარა და ნინა, მამიდაშვილები—გრიშა და მიშა გოცირიძეები, მამიდა მარიამი და ბიძა ალან ჯაფარიძე აუწყებენ ყველა ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა. წ. 13 თებერვალს, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ვასო (ვასილ) ილიას-ძე გოცირიძე

გამოსვენება მოხდება - გორის შესახვევი № 12. 17 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი მამა ილიკო, დედა ლიზა, ცოლი მარუსა, შვილი ვალიკო, ძმა ვახტანგი გოცირიძეები, დაი მარო, სიძე გრიგოლ მოსეშვილი, სიდედრი სოფიო, ცოლისძმები: გიორგი და იოსებ მუხაგულაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა. წ. 13 თებერვალს, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ვასო (ვასილ) ილიას-ძე გოცირიძე

გამოსვენება მოხდება 17 თებერვალს, დღის 4 საათზე, გორის შესახვევი № 12 (დიდუბე), დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: სიმონი, ევპრაქსია და მარიამი, რძალი მარიამი, სიძე არისტარხ მშვიდობაძე, შვილიშვილები: ნატუსია და ცაცა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნადე გრიგორის ასული კანდელაკისა

გამოსვენება მოხდება შაბათს, 18 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე; ბინიდან: გრიბოედოვის ქუჩა № 21. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. (ე)

მწუხარებაში მყოფნი შვილები: ვარია ვაშაკიძე და კატიუშა ქმრით გიორგით და შვილით გენრიეტათი ოგანოვები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ უეცრად გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი და დაუვიწყარი მამა, მეორესი სიმამრი და მესამის ბაბუა

იოსებ დავითის-ძე ვაშაკიძე

დაკრძალვა მოხდება 17 თებერვალს, დღით პარასკევს, საღამოს 4 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება 1-ლ ქალაქის საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის). 1462

სამუდამოდ გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი მშობლები: ანა (ანიკა) და ზაქარია, ბაბუა ერმილე, ბებია მაშო და ბიძა სიმონ შარაშიძეები, ბებიები პელაგია და ტერეზია, ბაბუა სიმონი, დეიდები: ელენე, ირინე, მარო, თინა, თამარ და ბიძა პეტრე მესხები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ა. წ. 15 თებერვალს, დილის 3 ნახ. საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი და დაუვიწყარი პატარა

ოთარ (ოთარიკო) ზაქარიას-ძე შარაშიძე

გამოსვენება მოხდება პარასკევს, 17 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ჩერქეზიშვილის მოედანი, № 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1459

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: ბებია პელო, ბაბუ სიმონი, დეიდები: ირინა, მარო, თინა და თამარი; ბიძა—პეტა, დიდი ბებია ტერეზი მესხები; დიდი დეიდა ელენა და ბაბუა პეტრე გიორგობიანები გულისტკივილით იუწყებიან პირმშო შვილიშვილის და პირველი დისწულის პატარა

ოთა შარაშიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა—პარასკევს, 17 თებერვალს, გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ჩერქეზიშვილის მოედანი № 9). 1471

დ. ს. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება აუწყებს თავის წევრებს და ფართო საზოგადოებას, რომ თავის საპატიო წევრის, ექიმის და საზოგადო მოღვაწის

დიმიტრი ალექსანდრეს-ძის ნაზაროვის

გარდაცვალების ერთი წლის თავზე, კვირას, 19 თებერვალს, დღის 12 საათზე, ქუთაისში საბჭოთა მუშაკების კლუბში (ყოფ. წმ. ნინოს გიმნაზიის პირდაპირ) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 626

ღრმად დამწუხრებულნი: დედა პელაგო, და ელენა, დიდედა დარუხანი, ბაბუა იოსები, ბიძები: ნესტორ და პართენ ალავიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი თბილისის მეხუთმეტე შრომის სკოლის მეცხრე ჯგუფის მოწაფე

შურა (ალექსანდრე) ანტონის-ძე ალავიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ საირმეში (ლეჩხუმის მაზრა), კვირას, 19 თებერვალს. 622

გაუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელისაბედ გრიგოლის ასული შვილები: გრიშა, შოთა, თინა და ჟორჟიკა ფხაკაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 15 გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დამსახურებული პედაგოგი

მიტროფანე ფილიპეს-ძე ფხაკაძე

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება, კვირას, 19 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი ბინიდან ჯორჯაძის ქ. № 12. ნ. 621

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი დედა მელანია ცომაია, ქმარი ერემია დიმიტრის-ძე გულისაშვილი, შვილით, რძლებით და შვილიშვილებით, ძმები ვანო და ანდრო ცოლშვილით, შვილი კოტიკა ცომაია, დები: ანეტა ცომაია, მარიამი ზაალიშვილისა და ელისაბედ კონტრიძისა ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო ზაქარიას ასული ცომაია-გულისაშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათიდან. გამოსვენება შაბათს, 18 თებერვალს, ნაშუადღევის სამ საათზე საკუთარ ბინიდან —ჟორესის (ყოფ. კირკის) 65. 1447 2—1

---

14 თებერვალს, გარდაიცვალა

ნატალია მიხეილის ასული სიჭინავა

რასაც იუწყებიან მისი ნათესავები და მეგობრები. გამოსვენება პარასკევს, 17 თებერვალს. დღის 4 საათზე ქალ. 1-ლი კლინიკ. ინსტიტუტიდან (ყოფ. ალექსან. საავადმყ.) კუკიის სასაფლაოზე. 1451 2—1

სახელმწიფო გამომცემლობა
სახელგამი
მოითხოვეთ ახალი წიგნები

წითელი არმიის ათი წლისთავისათვის სახელგამის ყველა მაღაზიებში

სამხედრო ბიბლიოთეკის

წიგნები იყიდება

50% ფასდაკლებით

ნ. 429
25—7

აპოლო
სოლეი
პროლეტარი (ავლაბარში)
არფასტო
ოდეონ
დარბაზი

სახკინმრეწვის თეატრები

საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი

„ქალი ბაზრობიდან“

რეჟისორი—ზ. მაკაროვი, ოპერატორი—მ. ენბელსი.
მთავარ როლებში: ბ. ბელეცკაია, ვახაძე, მურუსიძე, ინაევი, ლამბაშიძე

პრემიერა უცხოეთის სურათი **მოჯადოებული კუნძული**

უკანასკნელად თბილისში **რა საჭიროა ცოლის გამოცვლა**

საუკეთესო ამერიკული ტრიუკებიანი ფილმი **„სპიდ“** 1 და 2 სერია

ანონსი მხატვრული შედევრი „დრამა ცირკში“ 0—13

სახელმწიფო ოპერა

ნ. 610

დღეს, პარასკევს 17 თებერვალს

მირა ელიავას და სანდრო ინაშვილის მონაწილეობით **თაისი**

მონაწ.: მირა ელიავა, სანდრო ინაშვილი, კრუზო, დემიანენკო

დირიჟორობს ა. ზ. მელიქ-ფაშაევი

შაბათს 18-ს **ქეთო და კოტე**

კვირას 19-ს დილით საბავშვო ოპერა **კატა, თხა, ცხვარი, 2 ბალეტი კოპელია**

საღამოთი **სილვა**

ცირკი „კოლო“

ტელეფ. № 8—64

ნ. 613 4—1

ხუთშაბათს 16, პარასკევს 17, შაბათს 18, და კვირას 19 თებერვ. გრანდიოზული სანახაობანი საქვეყნოდ სახელგანთქმულ ცხოველთა მწვრთნელის

ა. ა. დუროვის და მისი ოთხფეხა მსახიობების გამოსვლა

პირველად! გაწვრთნილი ვირთხები მურინავი კატა—ვირთხები მგზავრები

პირველად! ცოცხალი კარუსელი! პირველად! გაწვრთნილი პელიკანები, გაფრენა ცირკის მთელს სივრცეზე და სხვ. №№ ამერ. ბაუტები. ძმ. არდანები. 5 პოლდი და სხვ.

კვირას 19 თებერვალს დღისით სანახაობა საღამოს სრული პროგრამით. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე მონაწილ. ა. ა. დუროვი და მისი ცხოველები.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რეჟის. ქ. გროდნიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

ორშაბათს, 20 თებერვალს დღის პირველ საათზე
გან. მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3)
მოწვეულია
განათლების მუშაკთა პროფკავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება
დღის წესრიგში სდგას:
დელეგატების არჩევნები გან. მუშაკთა საქართველოს კონფერენციაზე.
ნ. 619 ც. გ.

ექიმი ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სიმშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.) 25-1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორდანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ს. ი. ანდრეევისა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან [illegible] 11—78 13—1

საქართველოს ფინსახკომისარი
აცხადებს საყოველთაოდ

რომ, თანახმად სსრ კავშირის ფინსახკომის დადგენილებისა ა | წ. იანვრის 27-დან, როდესაც დასაწერი თამასუქისათვის არ არის სათანადო ბლანკის თანრიგი, დროებით, ა | წ. 1-ლ ივლისამდე ასეთი თამასუქი შეიძლება დაიწეროს მისი ვალიუტისათვის უახლოესი თანრიგის ბლანკზე, ამასთან ნაკლი საღერბო გამოსაღები გადახდილი უნდა იქნეს საღერბო მარკებით ან ფინსახკომის საკასო დაწესებულებებში შეტანილი ნაღდი ფულით.

ფინსახკომისარი—მ. მგალობლიშვილი

ნ. 623

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს რომ 22 თებერვალს 28 წ. დღის 12 საათზე ადგ. ნუკრიანში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა სინდრო ყარამახისძე ბეკაშვილის რომელიც აღწერილია 13 იანვარს 28 წ. მიხო ლეკიაშვილის ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა. 28 ივლისი 27 წ. № 61. სია გასასყიდი ქონებისა: ერთი კამეჩი, სამი ხარი, ერთი ცხვარი და სამი ძროხა შეფასებული 270 მანეთად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასებიდან ცალ-ცალკე და მსურველთათვის ჯგუფურათ. 1466

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენა და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. მიღება 9—12 2—6 ს. 1415 3—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—2

კბილის ექიმი

დავით საეეატის ძე რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედანის კუთხე.

იყიდება
იაფათ
საბეჭდი მანქანა

რუსული შრიფტით

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროპ. № 34. 4—1

ექიმი გ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

დაიკარგა: მოწმობა მოცემული სგირის საკრედიტო ამხანაგობიდან № 598, კავშირის წიგნაკი № 13632 და ელექკომის წიგნაკი № 785, ამბროსი სერაპიონისძე რობაქიძის სახელზე ჩ. ჩ. ე. 626

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფ ბის მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ.

საღამოს 5—8 საათ.

დილის 11—1 საათ.

სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 9, ახუთის 7 წლედის დამთავრების ატესტატი და ქორწინების მოწმობა ოლღა ივანეს ასული ბოკუჩავას სახელზე, ჩ. გ. 1453

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68